# სარბიელი

სპორტული გაზეთი · ოთხშაბათი 22 იანვარი 2003 №7 (1778) · ფასი 50 თეთრი


# გაანიავეთ ეს ქვეყანა!

## საქართველოში გენერატორს ადამიანივით ამოხადეს სული



ნეგატიური მოვლენების გამჟღავნება გრძელდება

სადმე რომ თქვათ, არ დაგიჯერებენ: საქართველო — რუსეთის მატჩის დასრულება შესაძლებელი იყო. ამისთვის უნდა გამოჩენილიყო თუნდაც ერთი ჭკვიანი კაცი, რომელიც უბრალოდ გამოაღებდა ჯიხურის კარს, რომელშიც გენერატორი იდგა. დახურულ სივრცეში გენერატორი, ასე ვთქვათ, საკუთარ გამონაბოლქვში დაიხრჩო.

ეს რომ სადმე თქვათ, სიცილით მოკვდებიან: იმავ შეხვედრისას, ავარია რომ მოხდა, ტრანსფორმატორის ჯიხურის გასაღებს... მთელი 20 წუთი ეძებდნენ.

ეს რომ სადმე თქვათ, ვაი, თქვენს პატრონსო, გეტყვიან: ავარია უხარისხო სტაბილიზატორის მომყიდველ თურქულ ფირმას დაბრალდა, მაგრამ თურქებთან კონტრაქტი ისეა გაფორმებული, ზარალის ანაზღაურებას ვერავინ მოსთხოვს — საგარანტიო ვადა გასულია. არადა, ეს ვადა ისე გავიდა, სტაბილიზატორი წესიერად არც აუმუშავებიათ. ვინმე ჭკვიანი კაცი რომ გამოჩენილიყო და სტაბილიზატორის წესისამებრ შემოწმება მოეფიქრებინა, წუნი ადრევე გამოჩნდებოდა.

რაც აქ მოგახსენეთ, გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში საგანგებო თათბირზე ითქვა.

აი, ამას კი ნურსად იტყვით, საბოლოოდ მოგვეჭრება თავი: საქართველოს სახელმწიფო კანცელარია ის დაწესებულებაა, სადაც თუნდაც სტადიონთან დაკავშირებით მთელი წელი თათბირობენ, ბოლოს როგორღაც რაღაცას გადაწყვეტენ და ამ გადაწყვეტილების შესრულება აზრად არ მოსდით.

ისე კი, იცოდეთ: 30 აპრილს, საქართველო — რუსეთის მატჩი უეჭველად „ლოკომოტივზე“ გაიმართება, რადგან 29 იანვარს ფეხბურთის ფედერაცია სწორედ ამ სტადიონს წარუდგენს უეფას და მერე აღარაფერი შეიცვლება.

ამის გამგონე იფიქრებთ, ფედერაციას და სტადიონის მეპატრონეს ყველა საკითხი შეუთანხმებიათო. ნუ დაგავიწყდებათ, სად ცხოვრობთ — ფედერაცია და რკინიგზა გაზაფხულზე მოსაგები ფულის გაყოფაზე დავობენ და ჯერ არაფერზე შეთანხმებულან. მაშ რის საფუძველზე ეუბნება ფედერაცია უეფას „ლოკომოტივს“? პასუხი იგივეა: ნუ გავიწყდებათ, სად ცხოვრობთ.

და როგორც ვცხოვრობთ, საქართველოს ნაკრებიც ისე თამაშობს. სულ ეს გვესმის: მწვრთნელებსაც ჭკვიანურად ვნიშნავთ, ისინი კი ფეხბურთელებს ჭკვიანურად არიგებენ, მოედანზე გასულებს კი რა ემართებათ, ვერ გაგვიგიაო.

სანამ ამ ქვეყნის თავები გენერატორის დახრჩობას და სტაბილიზატორის საგარანტიო ვადის გასვლის მერე შემოწმებას არ გადაეჩვევიან, ვერც ქვეყნის დაღმასვლას გაუგებენ რამეს და ვერც ფეხბურთისას.

იხილეთ მესამე გვერდი

# ტორ-პე-დო! ტორ-პე-დო!



დღეს ქუთაისის „ტორპედო“ თანამეგობრობის თასის მეოთხედფინალში რიგის „სკონტოს“ შეხვდება. გუშინ ქუთაისელებმა თურქეთმოვლილი გივი დიდავას გოლით ყაზახური „ირტიში“ დაამარცხეს და ჯგუფში მეორე ადგილს დასჯერდნენ. პირველობა და ბელარუსული „ბატე“ რუსთა ჩემპიონის, „ლოკომოტივის“ სარეზერვო გუნდს ერგო.

სტოკჰოლმში გაჩაღებულ მოცურავეთა მსოფლიოს თასზე ავსტრალიურმა „ტორპედომ“ გაიშხუილა. იან ტორპმა 400 მეტრი 3 წუთსა და 34,63 წამში გასცურა, რითაც სულ იოლად იჩემპიონა, მაგრამ ალბათ მაინც სინანულით გულდაწყვეტილი გაბრუნდება შვედეთიდან, რაკი საკუთარივე მსოფლიოს რეკორდის დასამხობად სულ 0,05 წამი დააკლდა. ისე, დღეს თუ არა, ხვალ-ზეგ რეკორდები მაინც იქნება. ასეთია ტორპი




REUTERS სტოკჰოლმიდან



კახა კალაძე და ალექსანდრე ჩივაძე

ბადრი კეთილაძის ფოტო

# სამნი უნდა დავასვენოთ

## ჩივაძემ კალაძე მოლდოვისთვის ვერ გაიმეტა

**საქართველოს** ეროვნული ნაკრები წლეულს პირველად 12 თებერვალს ითამაშებს — ალექსანდრე ჩივაძის დამოძღვრილი გუნდი მოლდოვას უმასპინძლებს აქხანაგურად.

საამხანაგოდ გამოძახებულ ფეხბურთელთა სია საცაა გამომზეურდება, თუმც წინასწარ ერთი რამ უკვე ცნობილია — ჩივაძე 12 თებერვლის თამაშისთვის არ შეაწუხებს გოჩა ჯამარაულს, კახა კალაძესა და შოთა არველაძეს.

ერთი სიტყვით, „შინდისფერთა" მთავარსარდალი სხვათა გარდა იმათაც გამოცდის, ნაკრებში კანტ-კუნტად რომ უთამაშიათ.

**დავით თავართქილაძე**

**თანამეგობრობის თასი. მოსკოვი 18-26 იანვარი. III ტური**

# ნაირტიშალ ტორპედოს რიგში სკონტო ჩაუდგა

**წუხელ** ქუთაისის „ტორპედომ" ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში 1:0 მოუგო ყაზახურ „ირტიშს" და მეოთხედფინალში გავიდა. ქუთათურებმა თურქული „ქოჯაელისფორიდან" დაბრუნებული კაპიტნის, გივი დიდავას ერთადერთი გოლით აჯობეს მეტოქეს. გივიმ მატჩის დასაწყისშივე შეძლო შორეული დარტყმით „ირტიშის" კარის დალაშქვრა. ქუთათურებს სხვა რამდენიმე რეალური შანსიც მიეცათ შეხვედრის ბოლომდე, თუმც ეს მომენტები გამოუყენებელი დარჩა. შედეგად ქართველებმა ჯგუფში პირველი ადგილი მოსკოვის „ლოკომოტივს" დაუთმეს, რომელმაც დიდი ანგარიშით, 4:0 დაჩაგრა სკა-პვო და ბურთების უკეთესი სხვაობით აჯობა „ტორპედოს".

გუშინვე მოსკოვში „ტორპედოს" უკრაინელ თავკაცს *ალექსანდრ შტელინს* დავუკავშირდით.

— რთული მატჩი გამოდგა. ბიჭები „ლოკომოტივთან" თამაშის შემდეგ გადაიღალნენ და „ირტიშთანაც" ამიტომ გაგვიჭირდა. გაგვიმართლა, რომ თურქეთიდან რევაზ ქემოკლიძე და გივი დიდავა დაგვიბრუნდნენ. ისინი ძალიან დაგვეხმარნენ. დიდავამ სულაც გოლი გაიტანა. მეტოქე ბურთის დაჭერას ცდილობდა და ამან გარკვეული პრობლემები შეგვიქმნა, მაგრამ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტის შექმნა მაინც შევძელით. მთავარია ჯგუფიდან გავედით და, ცხადია, ამით კმაყოფილი ვარ.

— **გუნდიდან ვის გამოარჩევდით?**

— კონკრეტულად არავის. ზემოთ დიდავაზე იმიტომ ვთქვი, რომ გოლი გაიტანა, თორემ მისი ფორმით ჯერ კმაყოფილი არ ვარ.

— **მეოთხედფინალში ლატვიური „სკონტო" გელით...**

— ეს გუნდი ბოლოს ორი წლის წინ ვნახე და ახლა რას წარმოადგენს, ვერ გეტყვით. ყოველ შემთხვევაში, მაშინ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ვფიქრობ, რთული მატჩი გველის, თუმც „ტორპედო" უბრძოლველად არაფერს დათმობს.

**კახა შალამბერიძე**

### A ჯგუფი

**ირტიში 0:1 ტორპედო**

0:1 დიდავა (9)

**ტორპედო:** სტურუა, ხვადაგიანი, ლ. ქელიძე, ქემოკლიძე, კვეტენაძე, ასათიანი, დიდავა, ბაბუნაშვილი, პოროშინი, იონანიძე, ახალკაცი (გ. ჩხეტიანი 77)

**ლოკომოტივი 4:0 სკა პვო**

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| ტორპედო | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| ირტიში | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| სკა პვო | 3 | 0 | 0 | 3 | 1:9 | 0 |

### B ჯგუფი

**პიუნიკი 1:1 ბატე**

**რეგარ-თადაზი 0:3 სკონტო**

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სკონტო | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| ბატე | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| რეგარ-თადაზი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| პიუნიკი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |

### C ჯგუფი

**კაუნასი 0:0 ფახთაქორი**

**აზერბაიჯანი (ახ.) 2:1 შახტარი**

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფახთაქორი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 5 |
| კაუნასი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| აზერბაიჯანი (ახ.) | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| შახტარი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |

### D ჯგუფი

**შერიფი 3:3 რუსეთი (ახ.)**

**ფლორა 3:0 შაგადამი**

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შერიფი | 3 | 2 | 1 | 0 | 14:4 | 7 |
| რუსეთი (ახ.) | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 7 |
| ფლორა | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| შაგადამი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:12 | 0 |

**მეოთხედფინალი. დღეს**

შერიფი – კაუნასი
სკონტო – ტორპედო
ფახთაქორი – ფლორა
ლოკომოტივი – ბატე

## ინგლისი

**მეორე დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**

ნოტსი 3:2 სტოკპორტი
პორტ ვეილი — კარდიფი გადაიდო

**მესამე დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**

მაკლსფილდი 0:1 ჰარტლპული
როჩდეილი 0:1 ლინკოლნი
სკანთორპი 1:1 ექსეტერი
საუთენდი 2:1 ოქსფორდი

**ლიგის თასი. 1/2 ფინალი**
**საპასუხო მატჩი**

ლივერპული 2:0დდ. (1:0) შეფილდ იუნ. (1:2)

## საფრანგეთი

**პირველი დივიზიონი**
**XXIII ტური**

ოსერი 0:0 მარსელი

**მეორე დივიზიონი**
**XXII ტური**

ტულუზი 2:0 ლე მანი

## იტალია

**თასის 1/4 ფინალი**
**საპასუხო მატჩი**

ბარი 0:0 ლაციო (1:2)

# ბოლნისმა სიონი გაუშვა

## ქვემო ქართლში ვეტერანებს უგანეს

**გუნდის ქომაგები** თამაშის გაყიდვაში შემჩნეულ ფეხბურთელთა დასჯას ითხოვენო, გვითხრა რამდენიმე დღის წინ ბოლნისის გამგებელმა ზურაბ ჯაფარიძემ. როგორც იცით, „სიონმა" გიორგი ქორიძე დაადანაშაულა მეტოქესთან გარიგებაში, მაგრამ იმთავითვე ჩანდა, რომ გუნდის მესვეურებს ეჭვი სხვა ფეხბურთელებზეც ჰქონდათ. ამაზე ხმამაღლა არ ყოფილა ლაპარაკი, მაგრამ ჩვენთან საუბარში ზურაბ ჯაფარიძემ ისიც თქვა, რაღაც უნდა ვიღონოთ, რადგან „სიონი" და მისი ქომაგები ფეხბურთელთა მხრიდან ამგვარ დამოკიდებულებას არ იმსახურებენო. თქმა და ქმნა ერთი იყო. გუშინ „სიონმა" ტრანსფერზე დაყენებულთა სია რვა ფეხბურთელამდე გაზარდა. მომხდარი კლუბის ხელმძღვანელებმა დელიკატურად ახსნეს — საამსეზონო მიზანი ავისრულეთ, ექვსეულში მოვხვდით, ამიტომ ვეტერანებზე უარს ვამბობთ და გუნდის გაახალგაზრდავების პროცესს ვიწყებთო.

ვერაფერს იტყვი, დროული და საქმიანი ნაბიჯია. „სიონი" მეორე ეტაპიდან ახალგაზრდა ფეხბურთელებზე გააკეთებს აქცენტს, რომელთა შორის ბოლნისური საფეხბურთო სკოლის აღზრდილებიც იქნებიან.

მაშ ასე, ქართულ სატრანსფერო ბაზარზე არჩევანი გაიზარდა. დავით ხუჭუა, ნუკრი მინდიაშვილი, ზვიად კრავეიშვილი, კახა სიდამონიძე, ზაზა ცქიფურიშვილი, გია ჩხაიძე, დავით გოდერძიშვილი, გენადი კაციაშვილი — ამ ფეხბურთელთა გადაბირების მსურველმა „სიონის" ხელმძღვანელობას უნდა მიმართოს.



ზურაბ ჯაფარიძე

ბადრი კეთილაძის ფოტო

აქვე ისიც ვთქვათ, რომ ფეხბურთელის კარიერა დაასრულა გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა ბახვა მოსეშვილმა, თუმც იგი კვლავაც კლუბში რჩება და მომავალ თაობას გაუზიარებს თავის გამოცდილებას.

**პაატა ქვანტალიანი**

# მსაჯები ჩვენს ცხოვრებას დაამსგავსეს

## დამოუკიდებლობა აქვთ, ფული არა

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციამ ფიფა-უეფასეული მოთხოვნის შესრულება უკვე დაიწყო. მოგეხსენებათ, მსოფლიოს ფეხბურთის მამებმა ფედერაციას მსაჯთა ასოციაციის შექმნა ურჩიეს. მართალია, ამ ფაქტს ჩვენთან არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა, მაგრამ მოგვიანებით, ყინული მაინც გალღვა.

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მსაჯთა ასოციაციის დამფუძნებელი კონფერენცია ჩატარდა. მონაწილეებს ახალი იურიდიული ორგანიზაციის წესდება ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა რომან შოთაძემ გააცნო. მასში შესატანი შესწორებები კი სპეციალურად შექმნილ ექვსკაციან კომისიას დაევალა. კომისიის შემადგენლობა ასეთია: *ადიკ დურსუნიში (თავმჯდომარე), ელგუჯა სილაგავა, ალექსანდრე შილაკაძე, სერგო კვარაცხელია, მამუკა ელიკაშვილი და ლევან მიქელაძე.*

კონფერენციის მონაწილეები კიდევ ერთ შეკრებაზეც შეთანხმდნენ, რომლის თარიღიც მოგვიანებით გაირკვევა. სწორედ მაშინ განიხილავენ კომისიის მიერ წარმოდგენილ შესწორებებს და მსაჯთა ასოციაციის წესდებაც დასამტკიცებლად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომს გადაეცემა.

აქვე გეტყვით, რომ კონფერენციაზე მსაჯთა ასოციაციის მომავალი თავკაციც აირჩიეს — პრეზიდენტი ჯერაც ფედერაციის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარე ანატოლი მილჩენკო იქნება, ვიცე-პრეზიდენტი ოთარ გუნთაძე, ხოლო პასუხისმგებელი მდივანი ავთანდილ შალამბერიძე.

ამგვარად, მსაჯთა ასოციაცია მალე ცალკე იურიდიული პირი გახდება, ფინანსურად კი ისევ ფედერაციაზე იქნება დამოკიდებული.

კონფერენციის ბოლოს მონაწილეებმა სფფ-ს ყრილობის დელეგატად ანატოლი მილჩენკო აირჩიეს, ხოლო აღმასკომის წევრად მსაჯთა ასოციაციის მომავალ თავკაცთან ერთად რომან შოთაძეც წარადგინეს.

**კახა შალამბერიძე**

# თბილისამდე ბორჯომია

## ნავარჯიშევ თემიდელებს პონე კინოს ჩამოუტანს

**თებერვლის** მეორე ნახევარში თბილისს ძველი ნაცნობი, ბელგიელი ალექს პონე ეწვევა. უეფას ინსტრუქტორი ქართველ მსაჯებს მეხუთე პროგრეს-კურსებს ჩაუტარებს. პონეს ლექცია-სემინარები წინასწარი შეთანხმებით 18-22 თებერვალსაა დაგეგმილი.

ბელგიელი სპეციალისტი ქართველ მსაჯებთან ურთიერთობისას უეფას მსაჯთა ინსტრუქციების უახლოეს ვიდეო მასალას გამოიყენებს. პროგრეს-კურსების ძირითადი თემა არბიტრსა და თანამსაჯს შორის ურთიერთობა იქნება.

ქართველმა თემიდელებმა ბოლო დროს უცხოეთში ჩვენებურ ფეხბურთელებზე მეტ წარმატებას რომ მიაღწიეს, ცხადზე ცხადია. დღემდე ფიფას სამი არბიტრი და ექვსი თანამსაჯი გვყავდა, ახალი წლიდან კი ფიფას ასისტენტთა რიცხვს ორი ახალგაზრდა ქართველი მსაჯიც შეემატა. აჭარიდან ლაშა სილაგავა და ზაზა მენთეშაშვილი ფიფას ლოგოთი მკერდდამშვენებულნი შეასრულებენ თავიანთ საქმეს. ბოლო დროს პოპულარული დარბაზის ფეხბურთის მსაჯთა საძმო ორი ქართველით შეივსო — ორ ალექსანდრეს, მეშკოვს და შილაკაძეს, დავით სანაია და პაატა დოგრაშვილი დაემატნენ.

პონეს ჩამოსვლამდე ქართველი მსაჯები ჩვეული გრაფიკით მოემზადებიან. ანატოლი მილჩენკო მალე სამწყსოს პრაქტიკულ-თეორიულ მეცადინეობას ჩაუტარებს და ნორმატივებს ჩააბარებინებს. ქართველი თემიდელები ბორჯომული შეკრებითაც აიმაღლებენ კონდიციებს, მერე კი კაცი სიამოვნებითაც ჩაუჯდება პონეს ჩამოტანილ ფირებს.

**პაატა ქვანტალიანი**

# პირველი ლეგიონერი კონტინენტურ ფინალში

## გონსალესი ლოკომოტივს გაფრთხილებას ჩაუტანს



ხუან დიეგო გონსალესი

**ასეთი** რამ ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველად მოხდა — მეთოთხმეტე ეროვნულ ჩემპიონატში თბილისის „ლოკომოტივში" ჩარიცხულმა პერუელმა თავდამსხმელმა ხუან დიეგო გონსალესმა კონტინენტის ოცწლამდელთა ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშა. 17 წლის ხუან დიეგო სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატზე პირველად 11 იანვარს გამოჩნდა ბოლივიასთან მატჩში. მანამდე პერუელებს ორი შეხვედრა უკვე წაგებული ჰქონდათ ბრაზილიასთან (0:3) და მასპინძელ ურუგვაისთან (1:4).

პერუელ ოცწლამდელთა თავკაცმა სეზარ გონსალესმა „ქართველი" მოგვარე მე-60 წუთზე შეუშვა მოედანზე. „ლოკომოტივის" აღსაზრდელის შესვლა და ბოლივიელთა გოლი ერთი გამოდგა — 61-ე წუთზე ხუან კარლოს არსემ დუბლი შეასრულა და ბოლივია 2:0 დაწინაურდა, თუმც ხუან დიეგო გონსალესის თანაგუნდელებმა ერთი ბურთის გაქვითვა შეძლეს.

ეტყობა, ამ მატჩში ლუის ცაკარიასის შეგირდის გარჯა პერუელთა დამრიგებელს თვალში მოხვდა და ბოლო მატჩში ეკვადორთან ძირითად შემადგენლობაშიც უბოძა ადგილი. აქვე აღვნიშნოთ, რომ ხუან დიეგო გონსალესი, რომელსაც 18 თებერვალს 18 წელი შეუსრულდება, ყველაზე უმრწემესია პერუს ნაკრებში.

ეკვადორთან მატჩში რკინიგზელმა 62 წუთი დაჰყო მოედანზე და გაფრთხილებასაც გამოჰკრა ხელი. მერე კი ის მწვრთნელმა შეცვალა. გუნდებმაც გოლების გატანა ამის შემდეგა დაიწყეს და საბოლოოდ ეკვადორმა 2:1 დაამარცხა მეტოქე.

ამგვარად, A ჯგუფში პერუმ ოთხივე მატჩში დაყარა ფარ-ხმალი და ბოლო ადგილშიც, ცხადია, ვერავინ შეეცილა. ხუან დიეგო გონსალესი კი მალე თურქეთში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფ თბილისის „ლოკომოტივს" შეუერთდება და საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის საგაზაფხულო ეტაპისთვის მზადებას დაიწყებს.

**კახა შალამბერიძე**

*12 ოქტომბერს საქართველო —რუსეთის სკანდალურად ჩაშლილი მატჩის შედეგად წარმოქმნილი პრობლემების მოსაგვარებლად გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში შეიკრიბნენ საფეხბურთო და სახელმწიფო მოხელენი.*

*საკანცელარიო მუშა შეხვედრები რომ ქართული ფეხბურთისთვის თითქმის არაფრის მომცემია, „დინამოსა“ და ეროვნულ სტადიონთან დაკავშირებულმა ლამის ერთ წელინადს გაწელილმა გაუთავებელმა თათბირებმაც ცხადჰყო. მაშინ რამდენიმეგვერდიანი ვრცელი დასკვნაც გამზადდა, რომლის აღსრულება დღემდე ფიქრადაც არ მოსვლია არავის.*

*სახელმწიფო კანცელარია ასეთი საკითხების გარჩევისას უფრო მედიატორის როლს ასრულებს და გამონაკლისი არც გუშინდელი, ერთსაათიანი სხდომა იყო*



# კანცელარიაში წილებზე ილაპარაკეს

## უშიშროებამ დამხრჩვალი გენერატორი ყველას აჰკიდა

## რკინიგზამ და ფედერაციამ შემოუსვლელი შემოსავალი ვერ გაიყვეს

რამ გამოიწვია 12 ოქტომბერს „ლოკომოტივის“ სტადიონზე დენის გამორთვა, ვინ არის დამნაშავე მომხდარში და, შესაბამისად, ვის ეკუთვნის ზარალის ანაზღაურება — აი, კითხვები, რომლებსაც გუშინდელ სხდომაზე უნდა გასცემოდა პასუხი. ჟურნალისტთათვის ღია შეხვედრა სახელწიფო მინისტრის მოადგილის თედო ისაკაძის კაბინეტში გაიმართა. მოწვეულთა შორის რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარე აკაკი ჩხაიძე, უშიშროების მინისტრის მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილი და სფფ-ის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია იყვნენ.

აქვე ვთქვათ, ასეთი პრობლემის გადასაწყვეტად ერთი საათი ნამდვილად ცოტაა, მით უფრო, რომ უშიშროების მინისტრის მოადგილის მოხსენებას ნახევარ საათზე მეტი დასჭირდა, მაგრამ მუშაობის დაწყებიდან საათის თავზე მასპინძელი დელიკატურად დაემშვიდობა სტუმრებს თებერვლის რომელიღაც რიცხვში ხელახალი შეკრების დაპირებით. ნაჩქარევი დაშლის ნამდვილი მიზეზი კი მორიგი საკანცელარიო მუშა შეხვედრა იყო, რომელშიც გუშინდელი სხდომის წევრთა უმრავლესობასაც უნდა მიეღო მონაწილეობა.

უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო ჯგუფის ორთვიანი მუშაობის შედეგებზე ლაშა ნაცვლიშვილმა ისაუბრა:

*„გამოძიების მიზეზი იმის დადგენა იყო, თუ რამ გამოიწვია დენის შეწყვეტა. ჩავატარეთ ექსპერტიზა, საქმეში ჩავრთეთ მეცნიერ-ტექნიკოსები, ინჟინრები. თავდაპირველად თურქულმა მხარემ მუშაობაში მონაწილეობის წერილობითი დასტური მოგვცა, მაგრამ მერე უარი თქვა ჩვენთან თანამშრომლობაზე. ამან თავიდანვე ეჭვი დაბადა. გამოძიებამ დიდი რაოდენობის მასალა შეისწავლა, დენის შეწყვეტის მიზეზსაც ნათელი მოეფინა. ავარია გამოიწვია სერვორეგულატორის — სტაბილიზატორის მწყობრიდან გამოსვლამ. ამის მიზეზი კი ქარხნული წუნია, რომელიც ლიცენზირების და სერთიფიცირების დროს ვერ აღმოაჩინეს. თურქების პასუხისმგებლობის საკითხი აშკარაა, მაგრამ სისტემა ისე იყო აწყობილი, რომ დენის მიწოდების ყველა წყარო ერთ სტაბილიზატორზე გადიოდა“.*

აი, ეს თქვა მოხსენების პირველ ნაწილში უშიშროების მინისტრის მოადგილემ, მაგრამ დღესავით ნათელია — ასი საკანცელარიო შეხვედრაც კი ვერაფრით დააყენებს თურქული ფირმის პასუხისმგებლობის საკითხს, რადგან „ლოკომოტივის“ სტადიონის მესვეურთათვის მიცემული საგარანტიო ვადის გასვლის გამო თურქებს იურიდიულად ვერავინ შეედავება. სტაბილიზატორის უვარგისობა ეჭვს ნამდვილად არ იწვევს, რადგან მიუხედავად საგარანტიო ვადის გასვლისა, სერვოლეგულატორს მხოლოდ 30 საათი აქვს ნამუშევარი. თუმც ისიც ცხადია, რომ მომხდარი ავარიის მხოლოდ თურქებზე გადაბრალება უსამართლობაა. მივუბრუნდეთ უშიშროების მინისტრის მოადგილის მოხსენებას.

*„დენის შეწყვეტის შემდეგ ყველამ რატომღაც ჩათვალა, რომ ავარიის მიზეზი ტრანსფორმატორის მწყობრიდან გამოსვლა იყო და სახელდახელო თათბირის შემდეგ, რომელსაც სათბობ-ენერგეტიკის მინისტრიც ესწრებოდა, სათადარიგო ტრანსფორმატორის გამოყენება სცადეს, მაგრამ დენის მიწოდების სისტემის მასხე ტრანსფორმატორზე გადაწყობაც რომ ეცადათ, მაინც არაფერი გამოვიდოდა. არადა, იყო იმის თეორიული შესაძლებლობა, რომ დენის მიწოდება აღდგენილიყო და მატჩი გადარჩენილიყო. ალბათ, ქართული მენტალიტეტის ბრალია, მინისტრის თანდასწრებით ვერც ერთმა მექანიკოსმა ვერ აიღო საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა და ვერ თქვა, რომ სტაბილიზატორის კვებიდან ამოღებით შესაძლებელი იყო პრობლემის მოგვარება. საქართველო — რუსეთის მატჩი დიზელ-გენერატორების სწორად გამოყენებითაც ასცდებოდა ნაძლევ სკანდალურ დასასრულს. გენერატორები მწყობრში იყო, რადგან წინა დღეს სწორედ მათი საშუალებით ივარჯიშა რუსეთის ეროვნულმა ნაკრებმა. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ დენის შეწყვეტასთან ერთად ავტომატურად ამოქმედებული გენერატორები ჩაკეტილ სივრცეში აღმოჩნდა, ამიტომაც მხოლოდ ექვს წუთს იმუშავა. არადა, გენერატორების სავენტილაციო პრობლემას კარის გაღებაც უშველიდა. ამიტომაც გამოძიების აზრით, მომხდარზე პასუხისმგებლობა სხვადასხვა პროცენტით ყველამ უნდა გაინაწილოს“.*

ყველაში ეი-ი-ეს თელასიც იგულისხმება. აკაკი ჩხაიძის თქმით, ჯიხური, რომელშიც ტრანსფორმატორებია განთავსებული, თელასის განკარგულებაშია და ავარიისას ოცი წუთი დასჭირდა ჯიხურის გასაღების მოტანას. ჩხაიძემ უხარისხო დენზეც ილაპარაკა. თურქულ ფირმას მსგავსი მოწყობილობა მსოფლიოს 76 ქვეყანაში აქვს დამონტაჟებული, მაგრამ ასეთი ავარია მარტო ჩვენთან მოხდა, სტაბილიზატორის მწყობრიდან გამოსვლა ძაბვის ვარდნის შედეგიცააო, თქვა ჩხაიძემ.

მთავარი კითხვა — ვინ აანაზღაურებს ზარალს, უპასუხოდ დარჩა. ნაცვლიშვილმა ხელები დაიბანა, ჩვენი საქმე ავარიის მიზეზების დადგენა იყო და თუკი მავანი პასუხისმგებლობას გაურბის, ამისთვის სასამართლო არსებობსო.

რადგან პასუხისმგებლობის კოეფიციენტი ერთობ დაბალია ჩვენში, ზარალის ამნაზღაურებლის ვინაობის გარკვევა დროს მივანდოთ და გუშინდელი სხდომის მეორე საკითხზე ვთქვათ. სად უმასპინძლებს საქართველოს ეროვნული ნაკრები საგაზაფხულო მეტოქეებს? ითქვა, რომ საქართველოში, რაც აქამდეც ცხადი გახლდათ და საამისოდ „სახელმწიფო საქმეებით“ დატვირთულ მოხელეთა თუნდაც ერთი საათით მოცდენა საცოდაობა იყო.

პრობლემა ფულია, თუ ფედერაციამ და „ლოკომოტივის“ დირექციამ საერთო ენა გამონახეს და ეჭვიც არ შეგეპაროთ, რომ გამონახავენ, ჩივაძის სამწყსო შესარჩევი ეტაპის ნახევარს სწორედ „ლოკომოტივზე“ მოიღებს.

რუსეთთან მატჩის წინ სტადიონის ადმინისტრაციამ 11 ათასამდე ბილეთი გაუყიდა ფედერაციას, შემოსავალმა 150 ათასს ლარს მიაღწია. ჩაშლილმა მატჩმა რკინიგზელებს 13 ათასამდე ლარი მოუტანა. ჩხაიძის თქმით, ამ თანხამ სტადიონის სამატჩოდ მომზადებისა და მუშახელის ხარჯებიც ვერ დაფარა. ბუნებრივია, რკინიგზელები აქამდე დაწესებული საბილეთო შემოსავლის 10-პროცენტიანი განაკვეთის გაზრდას ითხოვენ. ამიტომ, ლოკომოტიველები ფედერაციის ზარალის დაფარვის სანაცვლოდ უახლოეს სამივე მატჩზე ბილეთის გაყიდვის უფლებას ითხოვენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვა სტადიონი მოძებნეთო, უთხრა რკინიგზის შეფმა გუშინდელ სხდომაზე ვალერი ჩოლარიას.

ჩოლარია და, შესაბამისად, ფედერაცია მზადაა, სტადიონს მხოლოდ რუსეთთან მატჩზე მისცეს „საბილეთო მონოპოლია“, სხვა შემთხვევაში ეროვნული სტადიონისკენ გავიხედებითო, დაიქადნა გენმდივანმა, მაგრამ ამთავითვე ნათელია, რომ ვერც ჩხაიძე გაიტანს თავისას (ბილეთიებით შემოსულ მსუყე ლუკმას ფედერაცია არ დათმობს) და ვერც ჩოლარია (რკინიგზა თუნდაც მცირე შემოსავლის წყაროს არ დაკარგავს). უფრო მოსალოდნელი სფფ-ის და სტადიონის მესვეურთა მოლაპარაკებაა, რომელზეც, ალბათ, ბილეთებიდან „ლოკომოტივის“ სტადიონის საშემოსავლო წილი 10 პროცენტს ასცდება. მოლაპარაკება დღედღეზე შედგება, რადგან ფედერაცია ჩქარობს, 29 იანვრისთვის უეფამ ის სტადიონია (და არა ქვეყანა, როგორც ჩოლარიამ თქვა გუშინდელ შეხვედრაზე) წარსადგენი, რომელზეც საქართველოს ნაკრებმა უნდა ითამაშოს.

გუშინდელი სხდომის შემდეგ სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ თედო ისაკაძემ სრული სერიოზულობით განაცხადა, რომ უახლოესი სანაკრებო მატჩის ორივე ტაიმი საქართველოში ჩატარდება. ეგებ ასეც იყოს, მაგრამ საამბოხლოდ მიძღვნილ გუშინდელ „პირველ ტაიმს“ ბევრიც არაფერი გადაუწყვეტია და, ვინძლო, არც საიმედოდ დაგეგმილი „მეორე ტაიმი“ გამოდგეს ნაყოფიერი.

გუშინდელი სხდომის შემდეგ ჩრდილში მდგომ „ლოკომოტივის“ სტადიონის დირექტორ გივი ჭანტურიძეს გავესაუბრეთ, მით უფრო, რომ ფედერაციასთან მოლაპარაკების წარმართვა მას მიანდო რკინიგზის შეფმა. ჭანტურიძემ თავისი მოსაზრება დაუფარავად გაგვანდო: ჩვენი მიზანი მოგება არ არის, ხარჯების დაფარვა გვსურს, ამიტომაც თითოეული მატჩის სანაცვლოდ ფედერაცია 50-50 ათას ლარს თუ გამოყოფს, პრობლემა მოგვარდებაო. სფფ-ის გენერალურმა მდივანმა კი სხდომაზე ალბათ, მექანიკურად ნათქვამი შეცდომა გამოასწორა, უეფას, რა თქმა უნდა, სამასპინძლო სტადიონს ვაცნობებთ და ეს სტადიონი „ლოკომოტივი“ იქნება, რადგან, დარწმუნებული ვარ, 29 იანვრამდე რკინიგზელებთან შეთანხმებას მივაღწევთო.

ბოლოს ისიც ვიკითხეთ, მზად არის კი „ლოკომოტივის“ სტადიონი საერთაშორისო მატჩების სამასპინძლოდ? აკაკი ჩხაიძის თქმით, ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა:

*„თუ დივერსია არ მოხდა, სამომავლოდ ავარიის შანსი ნულის ტოლია. სტადიონზე დენის მეორე წყაროც შემოგვყავს. შევიძინეთ „ვოლვოს“ ახალი დიზელ-გენერატორები. ხელმძღვანელები დავლიეთ წამყვან ინჟინერ-მექანიკოსებთან, მათ სოლიდური ხელფასები დავუნიშნეთ, ვზრუნავთ მიწვერის ხარისხზეც. აგრარული უნივერსიტეტიდან წამყვანი აგრონომები მოვიწვიეთ, რომლებიც ბალახს სპეციალური სასუქებით გააჯერებენ და საგაზაფხულო მოედანიც იდეალურ მდგომარეობაში იქნება“* — გვითხრა ჩხაიძემ.

**პაატა ძმანტალიანი**

**ბადრი ძეთილაძის ფოტოები**







ვალერი ჩოლარიას და აკაკი ჩხაიძეს უშიშროების მინისტრის მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილმა მორიგება ურჩია

*ვერა და ვერ დააღწია თავი გასაჭირს რუსთავის „გორდამ". მეთორთმეტე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასრულებისთანავე რუსთაველები იმედს არ კარგავდნენ, აქაოდა, კლუბს საშველი დაადგება და ფინანსური მდგომარეობა ოდნავ მაინც გამოსწორდებაო, მაგრამ ლოდინი საკმაოდ გაიწელა – „გორდა" დღესაც უძლურია.*

*„გორდას" ფინანსურ სიდუხჭირეზე მთავარმა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემაც ვერ დახუჭა თვალი და რომ შეხედა, კლუბისთვის სასიკეთო არაფერი ხდებოდა, რამდენიმე დღის წინ ხელმძღვანელობას გადადგომის შესახებ აცნობა.*

*ამგვარად, სატურნირო ცხრილში ისედაც ფსკერზე დალექილი „გორდას" მომავალი ისევ ბუნდოვანია.*

*გუშინ კლუბის პრეზიდენტ სერგო ბუილიშვილს დავუკავშირდით და ინტერვიუ ვთხოვეთ. წინასწარ გეტყვით, საიმედო ვერაფერი მოვისმინეთ...*

# ხელფასები იქნება, პრეზიდენტი არა

## გორდას მომავალი მერზე ჰკიდია




„გორდას" უფულობით შეშფოთებული სერგო ბუილიშვილი
გია გეგუჩაძეს ვერ ელევა

— ძალიან რთული ვითარებაა. გადაჭრით არაფრის თქმა არ შემიძლია. თუ ფინანსური მდგომარეობა არ გამოკეთდება, რა მოხდება, არ ვიცი. სამწუხაროა, რომ „გორდა" ასეთ დღეში ჩავარდა. ახლაც გია გეგუჩაძესთან ვსაუბრობ და სასიკეთო ჯერ არაფერი ჩანს.

**— კი მაგრამ, გია გეგუჩაძემ ხომ დატოვა მთავარი მწვრთნელის პოსტი?**

— გია დღესაც ამ აზრზეა. მისი კარგად მესმის. უფულო გუნდში მუშაობა, ცხადია, არც ერთ მწვრთნელს არ სურს. უბრალოდ, გუნდის მომზადებაც ხომ საჭიროა. ძალიან საწყენია, მაგრამ ამასთან რეალურიც, რომ გიამ გუნდი დატოვოს.

**— გეგუჩაძის გუნდიდან წასვლა მხოლოდ ფინანსური პრობლემების ბრალია?**

— დიახ. დარწმუნებით მინდა გითხრათ, რომ მხოლოდ ეს არის მიზეზი. არანაირი კონფლიქტი ან სხვა რამ არ მომხდარა. გავრცელდა ხმები, თითქოს გიამ რაღაც კონფლიქტური სიტუაციების გამო დატოვა გუნდი, თუმცა ეს ჭორია. ასეთი არაფერი ყოფილა.

**— ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თავად თქვენც არ გაქვთ გუნდის გადარჩენის იმედი...**

— არც კი ვიცი, რა გითხრათ. ალბათ, ქალაქის ხელმძღვანელობასთან შეხვედრის შემდეგ უფრო კონკრეტულად მეცოდინება ყველაფერი. მეც ამის იმედად ვარ.

**— როდის შედგება ეს შეხვედრა?**

— ამ კითხვაზე ნაღდად ვერ გიპასუხებთ. 28 დეკემბრის შემდეგ მეც მოუთმენლად ველი მათთან შეხვედრას, მაგრამ დღემდე ვერ მოვახერხე. სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში შევძლებ ამას.

**— „გორდას" ხელმძღვანელობისთვის ასეთი შეხვედრები უცხო არ არის, ისიც ვთქვათ, რომ ამ შეხვედრების მერე ვითარება არ იცვლება. ალბათ ითვალისწინებთ ამ არასასიამოვნო ფაქტს.**

— გეთანხმებით, მაგრამ მაინც იმედით ველი რუსთავის ხელმძღვანელობასთან საუბარს. იქნებ შევძლო და ერთიანი ძალებით „გორდა" გადავარჩინოთ.

**— და მაინც, თუ აქედან არაფერი გამოვიდა, გუნდის დაშლა რეალური იქნება?**

— არა! არავითარ შემთხვევაში. ამას არ დავუშვებ. ვეცდები, სხვა გზები ვეძიოთ.

**— ფეხბურთელების დავალიანება, ალბათ, გაუსტუმრებელია...**

— ამას მოვაგვარებ. 25 იანვრისთვის ყველა ფეხბურთელის ვალს გავისტუმრებთ. მართალია, მათთვის ხელფასები 15-ში უნდა მიგვეცა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ვერ შევძელით. ათი დღის დაგვიანებით მათ მაინც გავისტუმრებთ. მერე კი რა მოხდება, არ ვიცი.

**— დრო კი არ ითმენს...**

— მართალია. ჩვენი უმთავრესი მტერი დროა. არადა, ძალიან სამწუხაროა, რომ „გორდა" ასეთ დღეში ჩავარდა.

**— ფეხბურთელების აზრი როგორია, რას აპირებენ?**

— მათ შევხვდი და შევპირდი, რომ 25 იანვარს ფულს მიიღებენ. მეტის თქმა არ შემეძლო. არ მინდა, ისეთ კაცად მიცნობდნენ, ერთს რომ ამბობს და მეორეს აკეთებს. თუ საიმედო არაფერი გამოჩნდა, მაშინ ჩემი პასუხისმგებლობის საკითხს დავაყენებ. არა მაქვს უფლება, ვიყო კლუბის პრეზიდენტი და ამასთან მოვალეობა ვერ შევასრულო.

**— ესე იგი, ფეხბურთიდან მიდიხართ?**

— არა. თუ პრეზიდენტის პოსტს დავტოვებ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ „გორდას" მივატოვებ. მე კლუბის დირექტორატში ვიქნები და ყველაფერს ვილონებ, ახალი პატრონის გამოჩენამდე ბიჭებს გვერდში დავუდგე.

**ბაჩა შალამბერიძე**

# თურქულმა თქეშმა ლუის ცაკარიასი პლაჟზე გაიყვანა

## პერუელმა რკინიგზელებს ანთალიაში ჩააკითხა



რაფაელ გალიარდო

**თბილისურმა** „ლოკომოტივმა" 19 იანვარს ანთალიურ შეკრებაზე მზადება დაიწყო. ვიცე-ჩემპიონები პირობებზე ნამდვილად ვერ დაიწუწუნებენ. ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „ოფოში", სადაც ყველაზე უბრალო ნომერი დღეღამეში 90 დოლარი ღირს, დასვენებისა და ძალების აღსადგენად ყველანაირი პირობა არსებობს.

რკინიგზელები არც სავარჯიშო მოედნის უქონლობასა და სპარინგ-პარტნიორთა ნაკლებობას უჩივიან, მაგრამ სრულფასოვანი მზადება ჯერაც ვერ დაუწყიათ. ლუის ცაკარიასის გუნდის მტერი თურქული ამინდი აღმოჩნდა.

კვირას ანთალიაში ზეცას პირი მოუღია და კოკისპირული წვიმა მხოლოდ გუშინ დილითღა შეწყვეტილა. ცაკარიასსაც არ დაუხანებია, ბიჭები პლაჟზე გაუყვანია და ერთი საათი წინ და უკან სირბილში გაულევიათ. „ლოკომოტივის" პირველი ვარჯიში ხალისიანი კვადრატით დასრულდაო, გვითხრა გუშინ სატელეფონო საუბრისას კლუბის პრესცენტრის ხელმძღვანელმა ნუგზარ ჯუღელმა.

რკინიგზელებს სასტუმროში დაბრუნება კი მოუსწრიათ, მაგრამ მერე ისევ თავსხმა დაწყებულა და საღამოს ვარჯიშიც წვიმამ ჩაშალა. საწვრთნელი მოედანი დატბორილია და დღეს ცაკარიასი ისევ პლაჟის იმედად თუ იქნება.

პირველ საკონტროლო მატჩს რკინიგზელები ხვალ, ტაშკენტის „პახთაქორთან" ითამაშებენ, მერე კი ვარნის „სპარტაკი", რუსული „ანჟი", იუგოსლავიური „ჰაიდუკი" და ზაპოროჟიეს „მეტალურგია" რიგში. „ლოკომოტივის" მენეჯერი ლევან ყიფიანი გუშინ კიევის „დინამოს" წარმომადგენლებთან აწარმოებდა მოლაპარაკებას და არ არის გამორიცხული, ცაკარიასის გუნდი ამხანაგურად უკრაინულ გრანდსაც გაეჯიბროს.

რაც შეეხება რკინიგზელთა პერუელ ლეგიონერებს, გალიარდო უკვე ანთალიაშია, ხოლო ახალგაზრდა გონსალესს პერუს ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშისას ფეხი უტკენია და როგორც კი მიკროტრავმას მოიშუშებს, ცაკარიასის განკარგულებაში გადავა.

დღე-დღეზე ანთალიაში ვლადიმერ კაკაშვილს ელიან, ხოლო თითქმის ყოველდღიური სატელეფონო ზარის მიუხედავად, „ლოკომოტივის" წარმომადგენელი ზაზა ჯანაშიას მოხელთებას ვერ ახერხებს. ვიცე-ჩემპიონის ანთალიური შეკრება 10 თებერვალს დასრულდება. მანამდე თურქეთში ალბათ გამოიდარებს.

**მამუკა ძგანტალიანი**

# ზესტაფონურ ხავსს ოთხი ხელი მოსცილდა

**— შველა,** არშველა, შველა, არშველა — გვირილას რომელი ფურცელი შერჩება ხელთ ზაურ ჩუბინიძეს? ზესტაფონის „მეტალურგი" ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა და, სამწუხაროდ, დღემდე არ გამოჩნდა პიროვნება, ვინც გაჭირვებულ კლუბს ხელს გაუწვდის. მთავარი მწვრთნელი ზაურ ჩუბინიძე კი დღენიადაგ ფეხბურთელთა ხვეწნა-მუდარაშია, ცოტაც მოითმინეთ, იქნებ პატრონი გამოგვიჩნდეს და ამოვისუნთქოთო.



ზაურ ჩუბინიძეს იმედი ჯერაც შერჩენია

სასიკეთო ჯერ მაინც არაფერი ხდება. თუმცა, ჩვენდა გასაოცრად, მწვრთნელმა თურმე შეძლო ძირითადი ბირთვის შენარჩუნება და ოფიციალურად „მეტალურგი" მხოლოდ ოთხმა ფეხბურთელმა დატოვა — ავთანდილ ფოფხაძე, გიორგი სუხიაშვილი, გიორგი მეძარნიშვილი და ლევან ჩაჩუა გათავისუფლების ფურცლით ხელდამშვენებულნი გაეცალნენ ზესტაფონს.

— რა უნდა გითხრათ, ყველაფერი ძველებურადაა. ჯერაც უპატრონოდ ვართ მიტოვებულნი და რა როგორ იქნება, არ ვიცი. ოთხი ფეხბურთელის გარდა „მეტალურგი" არავის დაუტოვებია. ბიჭებს ხან როგორ ვუკავშირდები და ხან როგორ. ორ-სამ დღეში, ალბათ, ყველაფერი გაირკვევა. ხმები დადის, გუნდს ეშველებაო. თუ მართალია, ამას რა აჯობებს. ამდენი ვითმინე და სამ დღესაც გავუძლებ. მცირე იმედი ჯერაც შემრჩა — გვითხრა გუშინ ზაურ ჩუბინიძემ.

ფეხბურთიდან გუნდის პრეზიდენტ ნუგზარ მდივანის წასვლის შემდეგ ზესტაფონის „მეტალურგს" ძალიან გაუჭირდა, ინერციითღა ჩაამთავრა პირველი ეტაპი და ამჟამად სულს ღაფავს.

სხვა საქმეა, თუ ყველაფერი ზესტაფონელთათვის სასიკეთოდ მოხდა, რას მიაღწევს ასეთი მოუმზადებელი გუნდი გაზაფხულზე, თუმცა, ოღონდ „მეტალურგს" ეშველოს და მერე ჩვენ ვიცითო, იმედს არ კარგავენ იმერლები.

ჩვენც რაღა დაგვრჩენია. დაველოდოთ და იქნებ ქართული ფეხბურთიც გადაურჩეს სირცხვილს. სხვაგვარად ხომ დიდი შანსია, ეროვნული ჩემპიონატი „მეტალურგის" გარეშე განახლდეს...

**ბაჩა შალამბერიძე**

# დილას გაზი გამპარა



ენერგოკრიზისმა ალექსანდრე მიხანაშვილს გეგმები შეაცვლევინა

**გასულ კვირას** მეთოთხმეტე ჩემპიონატის ერთ-ერთმა აუტსაიდერმა გორის „დილამ" საგაზაფხულო ეტაპისთვის მზადება დაიწყო. ვლადიმერ ხაჩიძემ გუნდის ძირითადი ბირთვის შენარჩუნება საბოლოოდ მაინც ვერ მოახერხა. სადღეისოდ დანაკლისი ორია, მცველი გიორგი დავითნიძე „მერანიოლიმპში" გადავიდა, ხოლო „ლოკომოტივიდან" იჯარის წესით ნათხოვარი თავდამსხმელი მერაბ ძოძუაშვილი რკინიგზულმა კლუბმა დაიბრუნა და თურქულ შეკრებაზეც იახლა.

ახალწვეულთა სია კი ერთობ მწირია. „დილას" ძველ გვარდიასთან ერთად დღეს მეკარე გიორგი სომხიშვილი ვარჯიშობს, რომელიც ბოლო დროს გერმანიის ერთ-ერთ რეგიონალ ლიგაში ბურთაობდა.

გუშინწინ „დილას" შეკრება უნდა დაეწყო, მაგრამ საქართველოს თავსდატეხილმა ენერგოკრიზისმა გორელებიც შეაფერხა.

— შეკრებას გორშივე, ერთ-ერთ სასტუმროში ვგეგმავდით, მაგრამ დღე-დღეზე გაზი გაქრება და ბიჭებს სიცივეში ხომ ვერ ვამყოფებდით. ამიტომ იძულებულები ვართ, შეკრება გაზის დაბრუნებამდე გადავდოთ — გვითხრა კლუბის ტექნიკურმა დირექტორმა ალექსანდრე მიხანაშვილმა.

სადღეისოდ „დილა" საკუთარ „ცენტრალურზე" დღეში ერთხელ ვარჯიშობს, ხოლო თვის ბოლოს გორში საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრებს ისტუმრებს და ამხანაგურად გაეჯიბრება.

**მამუკა ძგანტალიანი**






# პარალელური თათბირები

## გასპარმა ვან გაალს ორი თამაში აჩუქა, ვიცეებმა პრეზიდენტს ვან გაალის თავი და გადადგომა მოსთხოვეს

### ანჩელოტი, მენოტი, ძაკერონი. კუმანიც და შუსტერიც



**„ბარსელონაში"** წესია: პრეზიდენტი ხუან გასპარი და გენერალური დირექტორი ხავიერ პერეს ფარგუელი ყოველ ორშაბათს პრეზიდენტის კაბინეტში სათათბიროდ ხვდებიან ერთმანეთს და წინა კვირის ამბებს არჩევენ. ეს ორშაბათი ცოტა სხვანაირი გამოდგა, თათბირის ნაცვლად თათბირები გაიმართა.

ხუან გასპარმა და პერეს ფარგუელმა სათათბიროდ ლუის ვან გაალი დაიბარეს და „ვალენსიასთან" სირცხვილზე ახსნა-განმარტება მოსთხოვეს. იმავდროულად კლუბის ოფისში, ოღონდ ცხადია, სხვა კაბინეტში, „ბარსელონას" ხუთი ვიცე-პრეზიდენტი — სიქსტე კამბრა, ფრანსისკო კლოსა, ენრიკო რეინა, სალვადორ ალემანი, ხუან მოლასი — და კლუბის ხაზინადარი რამონ სალაბერტი დასხდნენ და თავისი ილაპარაკეს.

პრეზიდენტის თათბირმა უფრო მშვიდად ჩაიარა და ვან გაალს აგერ მერამდენე „უკანასკნელი შანსი" მიეცა. ჰოლანდიელს უთხრეს, რომ მომდევნო ტურში „სელტასთან" სტუმრად მარცხს (ოღონდ, ღმერთმა ნუ ქნასო) კიდევ აპატიებდნენ, აი, შემდეგ თამაშსაც თუ წააგებდა...

„სელტას" მერე კი „ბარსელონა" ჰოო — მადრიდში „ატლეტიკოს" ხვდება და ვინ იცის...

ვიცე-პრეზიდენტებმა კი სხვაგვარად განსაჯეს და საუბარი იქითკენ წაიყვანეს, რომ ვან გაალი ახლავე მოსახსნელია და „სელტასთან" გუნდი ახალმა მწვრთნელმა უნდა გაიყვანოს.

ის, რომ პრეზიდენტმა და ვიცე-პრეზიდენტებმა ცალ-ცალკე ითათბირეს, საგანგაშო კიდევ არ არის, მთავარი ის უნდა იყოს, რომ მათ წინა დღესაც, კვირას, ჰქონდათ შეხვედრა და ვერაფერზე მოილაპარაკეს — აბა, რატომ შეიკრიბნენ ორშაბათს ცალ-ცალკე? ერთი სიტყვით, „ბარსას" ოფისიდან განხეთქილების სუნი გამოდის.

საკვირაო თათბირზე გასპარი ვიცე-პრეზიდენტთა მოთხოვნის შესრულების შეუძლებლობის დასაბუთებას შეეცადა, ასე უცბად ახალ მწვრთნელს ვერ მოვძებნითო და გადადგომაზე გადაკრული სიტყვაც შორს დაიჭირა.

ვიცე-პრეზიდენტებმა გადადგომა აი, რატომ უხსენეს: „ვალენსიასთან" მატჩის შემდეგ ატეხილი მასობრივი ჩხუბი საყოველთაო უკმაყოფილებაში გადაიზარდა. ჰოდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ „ბარსას" ფან-კლუბში ასი ათასზე მეტი კაცია, უკმაყოფილებამ შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები მოიტანოს. ისიცაა, რომ ხალხს დაპირებებისა აღარ სჯერა და კლუბმა ისეთი რამ უნდა მოიფიქროს, ქომაგებს რომ დაამშვიდებს. ამიტომაც ვიცე-პრეზიდენტებმა გასპარს მოსთხოვეს: მოვიწვიოთ საერთო კრება, რომელზეც ხალხს სეზონის ბოლოს ოთხეულს მიღმა დარჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ გადადგომას დავპირდებითო.

ხუან გასპარმა ეს წინადადება შორს დაიჭირა.

ლუის ვან გაალის ბედი ამ ორ კვირაში გადაწყდება და რა გასაკვირია, მისი შემცვლელის გამოცნობას კატალონიელები ახლავე რომ ცდილობენ, უფრო სწორად კი, ვარიანტებს არჩევენ.

ახალი მწვრთნელისთვის სავალდებულო მოთხოვნებია: ესპანური ფეხბურთის კარგად ცოდნა, ვითარების საღად ანალიზის უნარი, ფეხბურთელებთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება, კრიზისულ სიტუაციაში მუშაობის უნარი.

კატალონიელებმა დაუსაქმებელ მწვრთნელთა სიას გადახედეს და რადომირ ანტიჩი შემოხაზეს. რატომაც არა: სერბმა სპეციალისტმა 1995 წელს მადრიდის „ატლეტიკოს" დუბლი შეასრულებინა და ესპანურ ფეხბურთს სერბულზე უკეთ ნაღდად იცნობს.

ისე, აქა-იქ არგენტინელი ლუის სესარ მენოტის სახელიც ახსენეს, მაგრამ მისი კლუბში მისვლა საეჭვოდ მოსჩანს. გავიხსენოთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონ მწვრთნელს ჯერ კიდევ კარლოს რექსაჩის დროს სთავაზობდნენ „ბარსაში" მუშაობას და იუარა. სხვათა შორის, მენოტი კარგა ხანს იყო კატალონიელთა სელექციონერი სამხრეთ ამერიკაში.

ახსენებენ ალბერტო ძაკერონისაც, ოღონდ უფრო იშვიათად. „მილანისა" და „ლაციოს" ყოფილმა დამრიგებელმა ესპანური არ იცის და ვაღიაროთ, არც ზოგადად ესპანურ ფეხბურთზე აქვს დიდი წარმოდგენა. ჰო, მადრიდის „რეალიდან" იუპ ჰაინკესის წასვლის მერე ერთ-ერთ ვარიანტად ძაკერონისაც ასახელებდნენ.

თუმცა საერთო აზრი უფრო იქითკენ იხრება, რომ „ბარსელონას" ჯერ დროებითი მწვრთნელი სჭირდება, რომელიც სეზონს ჩაამთავრებინებს და სახლიანი კაცი მერე უნდა მიუყვანონ.

დროებითის ხსენებაზე კი ორი სახელი ამოტივტივდა — ბერნდ შუსტერი და რონალდ კუმანი.

ორივენი ძველი ბარსელონელები არიან და იქაური ამბები არ ესწავლებათ, მაგრამ შუსტერის მხსენებლებს ერთი გარემოება გამოეპარათ. კერძოდ, ამჟამად მეორედივიზიონელ „ხერესში" მომუშავე გერმანელს პრიმერაში მუშაობის ლიცენზია არ აქვს და ეს ამბავი გამორიცხულია. ასე რომ, რჩება რონალდ კუმანი, რომელსაც, სხვათა შორის, „ბარსას" დირექტორატის განდგომილი წევრებიც მხარს უჭერენ.

და ერთხელაც გავიმეოროთ, რომ რაც ვან გაალის სავარაუდო შემცვლელებზე ვთქვით, მხოლოდ ვარაუდებია.

ბოლოს კი თავად ლუის ვან გაალი — კაცი, რომელიც შექმნილ ვითარებაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს და მით უმეტეს, საკუთარ შეცდომებს.

**გიორგი დარჯანია**

ორშაბათი კლუბში დასვენების დღეა, მაგრამ ამ ორშაბათს მწვრთნელმა გუნდი შეკრიბა და ავარჯიშა. უფრო სწორად, მისმა თანაშემწეებმა ავარჯიშეს, თავად კი კაბინეტში ჩაიკეტა და თავის ცნობილ ბლოკნოტში რაღაცეები დახაზა. მერე, 4 საათზე ლუის ვან გაალი მანქანაში ჩაჯდა და სახლში დამშვიდებული სინდისით გაემგზავრა.






# ბატიგოლი ინტერშია, მისი გული რომში

**ბოლო დღეების** ლაპარაკმა ხორცი შეისხა: გაბრიელ ომარ ბატისტუტა „რომადან" „ინტერში" იჯარით გადავიდა. 33 წლის არგენტინელის მილანელებთან კონტრაქტი სეზონის ბოლომდეა.

„სიმართლე გითხრათ, სიამოვნებით დავრჩებოდი რომში — უთხრა ჟურნალისტებს გუშინ „ინტერის" საწვრთნელი ბაზიდან გამოსულმა ბატისტუტამ — მაგრამ ორი მიზეზი მქონდა, რის გამოც დღეს აქ ვარ".

პირველი მიზეზი: ბოლო ხანს „სტადიო ოლიმპიკოზე" გასულ ბატისტუტას რომაელი ქომაგები ტაშს გულიანად აღარ უკრავენ და მის სახელსაც აღარ გაჰკივიან.

მეორე მიზეზი: „ბატიგოლის" სკუდეტო უნდა, რისი მოგების შანსიც, „რომას" ქომაგებსაც მოეხსენებათ, წლეულს ტოტის და მის საძმოს აღარ აქვთ.

„ერთსაც გეტყვით — განაგრძო ბატისტუტამ — რომელიმე სხვა გუნდს რომ შემოეთავაზებინა მასთან გადასვლა, უარს ვიტყოდი და „რომაში" დავრჩებოდი, მაგრამ როცა მასიმო მორატი შემეხმიანა, არც დავფიქრებულვარ. „ინტერი" ბრწყინვალე გუნდია და თან სკუდეტოს ერთ-ერთი უმთავრესი მაძიებელი".

შევნიშნოთ, რომ „ინტერი" იტალიის ჩემპიონი 1989 წლის მერე აღარ გამხდარა, ხოლო ბატისტუტა აპრილამდე დაშავებული ერნან კრესპოს შემცვლელად წაიყვანა.

ალბათ, უპრიანია „ბატიგოლის" იტალიური კარიერაც გავიხსენოთ. 1991 წელს „ფიორენტინამ" (ეჰ, სადაა) ის 2,3 მილიონ დოლარად იყიდა და ცხრა სეზონის შემდეგ „რომას" 33,8 მილიონად მიჰყიდა. ამ ცხრა სეზონში არგენტინელი ლაშის ფლორენციის მთავარ ღირსშესანიშნაობად და სერია A-ს ყველაზე სახიფათო ფორვარდად იქცა. 1994-95 წლების სეზონში ის 26 გოლით ბომბარდირიც გახდა.

„რომაში" გადასულმა 20 გოლი გაიტანა და გუნდს 18-წლიანი ლოდინის შემდეგ სკუდეტოს მოგებაში დიდად დაეხმარა. ეს 2000-01 წლების სეზონში მოხდა, რის მერეც ბატისტუტას მზე ნელ-ნელა ეშვება.

**ირაკლი ნინიძე**



# ოუენმა 30 ათასი აღიარა

## არ სვამს, არ ეწევა, ქალებში არ დადის, აღარც ითამაშოს?!

## მაკდერმოტმა მაიკლს შირერის ცხენი ურჩია

**აგორდა,** აგორდა, ტალღა აგორდა. ამას წინათ, რუუდ ვან ნისტელროიმ ინგლისში ფეხბურთელთა ყომარბაზობაზე რომ ჩამოაგდო სიტყვა, ტონი ადამსმა ეს გატაცება ნარკომანობას შეადარა, ხოლო ძველმა ირლანდიელმა ვარსკვლავმა ტონი კასკარინომ ცეცხლზე ნავთი დაასხა და, ნაკრების ფეხბურთელები მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებშიც კი ბანქოს მაგიდას უსხდნენო, თქვა. ხალხსაც მეტი რა უნდოდა, ხოლო როცა გასკდა, მავანმა ფეხბურთელმა მთელი 30 ათასი გირვანქა წააგოო, სრულიად ბრიტანეთის შერლოკ ჰოლმსები დაირაზმნენ და ჯიბეშეთხელებულის ვინაობის დადგენას შეუდგნენ. წინა კვირაში მათმა ძიებამ შედეგი მოიტანა და, უკვე ვწერდით, უიღბლო მოთამაშე მთელს ინგლისში უწესიერეს ბიჭად ცნობილი მაიკლ ოუენი გამოდგა.

ისე როგორ იქნებოდა, ჟურნალისტები „ოქროს ბიჭუნას“ არ მისდგომოდნენ და ეს ამბავი დაწვრილებით არ გამოეკითხათ.

. კი, წავაგეო, თქვა ოუენმა, ოღონდ საქმე არც მთლად ეგრეა, როგორც ამბობენო. „ზუსტად არ დამითვლია, მაგრამ დაახლოებით 30-40 ათასი გირვანქა მაქვს წაგებული და ამასთანავე არა ერთ დღეს ბანქოს მაგიდასთან, არამედ, 2 წლის განმავლობაში და ისიც დოლზე“.

ოუენის პირადმა მდივანმა კი აი, რა თქვა: „მაიკლის მამა, ტერი, დოლზე ფსონის ჩასვლის დიდი მოყვარულია და ინტერნეტით მუდამ თამაშობს. ტერი ოუენის ინტერნეტ-ანგარიშით კი ოჯახის სხვა წევრებიც, მათ შორის მაიკლიც სარგებლობენ. სამწუხარო და გაუგებარია, რატომ ატყდა ასეთი ხმაური. ვილაცეები ცდილობენ, საზოგადოება მოატყუონ და დაარწმუნონ, რომ მაიკლი უყაირათოა და ფულს აქეთ-იქით უაზროდ ფანტავს. ასე არ არის, მაიკლი თავისი შემოსავლის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს ხარჯავს ტოტალიზატორში. ოუენების ოჯახში კარგად იციან თუნდაც ასი გირვანქის ყადრი“.

მეფხონე იკითხავს, 30-40 ათასი წაგებული თანხაა და მოგებული რამდენიაო. მოგახსენებთ: მაიკლ ოუენს ფსონებში მთლიანად 2,2 მილიონი გირვანქა დაუდია და ამ მომენტისთვის ნახსენებ 30-40 ათასგირვანქიან წაგებაშია. ასევე დავძინოთ, რომ დოლის გარდა ოუენი ფეხბურთის მატჩებზეც ჩადის ფსონს, ოღონდ „ლივერპულის“ თამაშებს ერიდება და მეტწილად „მანჩესტერ იუნაიტედის“, „ჩელსის“ და „ტოტენჰემის“ მატჩებზე დებს.

ისე, კაცია და გუნება, უნდა და თამაშობს, თან წესიერი გზით ნაშოვნი ფულით. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის პრესმდივანმა განაცხადა, ოუენის გატაცებაში დანაშაულს ვერ ვხედავთ და ამიტომაც მისი ყომარბაზობის ამბავი არ გვაინტერესებსო.

რაც არ აინტერესებს ასოციაციას, ხალხს აინტერესებს და ლაპარაკი არ წყდება. გუშინ კი ოუენის დასაცავად მისმა მწვრთნელმა ჟერარ ულიემ ამოიღო ხმა: „ზოგიერთები მაიკლის ცხოვრების დანგრევას ცდილობენ. მაგრამ მაიკლი მე მგავს, ამ ამბავს სიცილით შეხვდა. მე მას ვურჩიე, ჭორებისთვის ყური არ ეგდო, რადგან მაიკლი ჭორიკნებზე დიდი და ძლიერია. საერთოდ, ინგლისში მუდამ ასე ხდება — ცნობილი ადამიანის პირად ცხოვრებაში ცხვირს ჰყოფენ და მოსვენებას არ აძლევენ. მე კი ვიტყვი, რომ მომწონს მაიკლის ცხენებით გატაცება. ადამიანს ცხოვრებაში რაღაც გატაცება უნდა ჰქონდეს. ბოლოს და ბოლოს, დოლი მის თამაშზე გავლენას ხომ არ ახდენს. აბა, რა უნდა ქნას, არ სვამს, არ ეწევა, ღამის დაწესებულებებში არ დადის და საერთოდ ყველაფერი უნდა ავუკრძალოთ? ბარემ, უფანჯრო ოთახში შევაგდოთ და გარედან კარი ჩავუკეტოთ“.

მენეჯერის მხარდაჭერით გათამამებულმა ოუენმა კი დასძინა: „ცხენების სიყვარულს ვერავინ ამიკრძალავს. მოედნის მიღმა ეს ჩემი მთავარი ჰობია“.

სხვათა შორის, ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი, იესპერ გრონკიაერი და კირონ დაიერი კაზინოს მუდმივი სტუმრები არიან და ათასობით გირვანქას იქ ტოვებენ.

კაზინოდან გამოვიდეთ და დოლს მივუბრუნდეთ. ტერი მაკდერმოტი ამ აურზაურს იმით გამოეხმაურა, რომ მაიკლ ოუენს „ინტერსკაი ფალკონზე“ ფსონის ჩასვლა ურჩია, „ლედბროკში“ 5-1-ზე კოეფიციენტია 11 მარტის ჩელტენემის დოლზეო.

ვფიქრობთ, წინა აბზაცი განმარტებას მოითხოვს. ტერი მაკდერმოტი ძველი ლივერპულელი ფეხბურთელია, ერთი ხანობა „ნიუკასლშიც“ ირჯებოდა და 25 სანაკრებო კეპის მფლობელია. ძველ გულშემატკივარს ეხსომება, ჩემპიონთა თასზე თბილისის „დინამომ“ „ლივერპული“ რომ დაამარცხა, სწორედ მაშინდელი შემადგენლობის წევრია და თბილისშიც ნამყოფია. „ინტერსკაი ფალკონი“ ცხენია, რომელმაც ბოლო 12 სტარტიდან ცხრაში გაიმარჯვა. „ლედბროკი“ განთქმული საბუქმეიკერო კანტორაა, ხოლო ჩელტენემი განთქმული სადოლე ადგილია.

მეკდერმოტმა განაგრძო: „დოლი განტვირთვის საუკეთესო საშუალებაა, ამიტომაც ოუენის დოლისადმი სიყვარულს არათუ ვკიცხავ, მივესალმები, რატომაც არა, ალან ბოლი დოლის ნამდვილი ფანატიკოსია, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, მსოფლიოს ჩემპიონი გამხდარიყო. მეტიც, თუ „ლივერპულის“ თამაშის პარალელურად სადმე დოლი იმართებოდა, ბობ პეისლი შესვენებისას შედეგებს გვაცნობდა“.

ბოლოს კი ტერი მაკდერმოტმა იანგლა, აგერ ნახავთ, „ინტერთან“ მატჩისას ალან შირერს ცალი ყური რადიოზე თუ არ ექნა მიდებულიო.

საქმე ის გახლავთ, რომ 11 მარტს, ზემოთ ნახსენები ჩელტენემის დიდი დოლის დღეს, ჩემპიონთა ლიგაში „ნიუკასლი“ „ინტერს“ სტუმრობს, ხოლო ტერი მაკდერმოტი და ალან შირერი დოლის ფავორიტის, „ინტერსკაი ფალკონის“ ზიარი მეპატრონეები არიან.

**ირაკლი ნინიძე**






ტერი მაკდერმოტმა და ალან შირერმა საზიაროდ ცხენი იყიდეს



რაღა მაიკლ ოუენი, სერ ალექს ფერგიუსონიც დოლის დიდი ტრფიალია

# ჩარტყმა და გინება ინგლისურად

## ბერხკამპის იდაყვს დაატრიალებენ

**რით იყო** ღირსშესანიშნავი ინგლისის პრემიერლიგის შეხვედრა „არსენალსა“ და „ვესტ ჰემს“ შორის? ერთი იმით, რომ იგი „არსენალის“ სასარგებლოდ 3:1 დასრულდა და „ვესტ ჰემის“ კარში სამივე გოლი ტიერი ანრიმ შეაგდო, მეორე კი იმით, რომ გამარჯვებულთა მეორე თავდამსხმელმა, დენის ბერხკამპმა მოწინააღმდეგეს, კერძოდ კი ლი ბოიერს, იდაყვი ჩაარტყა, რის გამოც ბრიტანულ პრესაში ერთი ამბავი ატყდა.

„ვესტ ჰემის“ მწვრთნელი გლენ როოდერი ამ ამბავმა ფრიად ალაშფოთა. მან იჩივლა, რომ შეხვედრის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე ბერხკამპმა ბოიერი იდაყვის უხეში ჩარტყმით ჩამოიშორა და სწორედ ამის წყალობით მოახერხა ანრისთვის საგოლე პასის ჩაწოდება. იყო სხვა მომენტიც. კერძოდ, როოდერის მტკიცებით, მე-13 წუთზე მისი გუნდის კარში პენალტი უსამართლოდ დაინიშნა — რობერ პირესი სინამდვილეში არავის წაუქცევია, იგი თავად გაიშოტა საჯარიმოში და მსაჯი შეაცდინა.

მწვრთნელი ბრძანებს: „მინდორზე მყოფთაგან ყველამ დაინახა რა გაუკეთა ბერხკამპმა ბოიერს. მან ჩვენს მოთამაშეს სახეზე ხელი ააფარა და მიარტყა, რის შედეგადაც ბოიერი დაეცა. სულაც არ მინდოდა, რომ ბერხკამპი ამ მომენტში წითელი ბარათით დასჯილიყო, მაგრამ საჯარიმო ჩვენს სასარგებლოდ ნამდვილად უნდა დანიშნულიყო. 1:1-ზე შანსსაც შევინარჩუნებდით. პირესიც საკმაოდ იოლად გაიშოტა ჩვენს საჯარიმოში. მას სულ ოდნავ შეეხნენ, ის კი ისე წაიქცა, რომ მსაჯი მოტყუვდა“.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ბერხკამპი, რომელიც ერთი თვის წინ „ბლექბერნის“ ნილს-ერიკ იოჰანსენთან მომხდარი ინციდენტის გამო 5 ათასი გირვანქით რომ დაისაჯა, ბოიერისთვის იდაყვის ჩარტყმას კატეგორიულად უარყოფს.

„ბურთის შენარჩუნებას ვცდილობდი და ამ დროს ვილაცას შევეხე. ჩემი საქმით გართულს წარმოდგენაც არ მქონდა ვინ იყო ჩემს უკან და მეტიც, საერთოდ იყო თუ არა ვინმე. მსაჯი კი საკმაოდ ახლოს იდგა. ერთი სიტყვით, ვწუხვარ ბოიერს სახეში ხელი რომ მოხვდა, ვწუხვარ „ვესტ ჰემმა“ რომ წააგო, მაგრამ ამ სიტყვიერ შეწუხებაზე მეტს ვერაფერს ვიზამ“.

| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ქავთარაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ქავთარაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „იმერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

## სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;
ვაჟა ფშაველას გამზირი №46
(მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");
დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, ა კორპუსი

კროკოს შემდეგში სამუშაო დრო გახანგრძლივდა

შაბათი 12.00–21.30 კვირა 12.00–20.30

# ავსტრალიის ღია პირველობა 2003



დანიელა ჰანტუხოვას ხორცშესხმა გადაუწყვეტია

## ასული ხორციელი, ვითარცა ძე ხორციელი

### ვინუსმა კაცებს ხელი გადაუღია გრაფომანებო, თქვენი შანსია: შტეფი და ანდრე ერთად თამაშს აპირებენ

**მეოთხედფინალი**

**კაცები**

**ანდრე აგასი (2, აშშ) — სებასტიან გროჟანი (12, საფრანგეთი) 6:3, 6:2, 6:2; უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა) — ხუან კარლოს ფერერო (4, ესპანეთი) 7:6 (7:4), 7:6 (7:5), 6:1**

**ქალები**

**ვინუს უილიამსი (2, აშშ) — დანიელა ჰანტუხოვა (7, სლოვაკეთი) 6:4, 6:3; ჟუსტინ ენენ-არდენი (5, ბელგია) — ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 6:2, 6:2**

### აგასის გონი

ანდრე აგასისა და ვინუს უილიამსს თავ-თავიანთ ნახევარფინალებში მოხვედრა გუშინ პარალელურად მოუხდათ. ოღონდ თუკი სამგზის მეავსტრალიე ამერიკელმა თავისი ამოცანა უწინარესად დახვეწილი ტაქტიკის წყალობით გადაწყვიტა, უფროს შავდას ბევრი არ უფიქრია — ხათქუნა სლოვაკი თინეიჯერი დანიელა ჰანტუხოვა ლონიერი ხათქუნითვე მოაშთო.

„ეს ერთი იმ მატჩთაგანი იყო, რომლის მიმდინარეობითაც აბსოლუტურად კმაყოფილი ვარჩი" — ამბობდა აგასი.

და არც გაემტყუნებოდა — რაკიდა სამსეტიანი შეხვედრის მსვლელობისას მან დამაჯერებლად, მხოლოდ მისთვის ჩვეული სინატიფით შეძლო მასზე რვა წლით უმცროსი სებასტიან გროჟანისთვის ყველა იარაღი დაებლაგვებინა, ყოველგვარი იმედი გადაეწურა და თავისი საჩოგნაო რიტმი მოეხვია.

გროჟანი: „მას ყველა იმ ტურნირის მოგება შეუძლია, სადაც თამაშობს. ის ხომ ასეთი საოცარი მეჩოგნეა".

ეს „საოცარი მეჩოგნე", ვისაც 33 წელი სადღაც სამ თვეში, 29 აპრილს შეუსრულდება, გუშინ ყოველი ქულისთვის აუღელვებლად, ზედმიწევნით მობილიზებულად და ქირურგის სიბასრით ირჯებოდა. ის არ ცდილა, ქულები მაინცდამაინც სუფთა, კუთხეებში „ჩასმული" დარტყმებით მოეგო — ბურთს დიდხანს „ამუშავებდა" და ამიტომაც იყო, 28 მომგებიანი დარტყმის წილ მხოლოდ 14 შეცდომა რომ დაიგროვა. შედარებისთვის: სწორედაც რომ საწინააღმდეგო ტაქტიკით მოჩოგნავე ფრანგმა მასზე თუმც 12 მომგებიანი დარტყმით მეტი მოიმკა, მაგრამ სანაცვლოდ 21-ით მეტჯერაც მიჰქარა.

ისიც სათქმელია, რომ მელბურნში გუშინ არც ისე ცხელოდა. მაგრამ წინა წრეში ესპანელ მანტიასთან გადატანილი ხუთსეტიანი ბუღრაობის ბრალი იყო თუ არასათანადო ფიზმომზადებისა, გროჟანს ვერც გრილმა ნიავმა არგო — დაუღარაჯებელი თვალიც იოლად შეამჩნევდა, როგორ აუდჩაუღიოდა ჟანგბადს დახარბებული მკერდი მას ყოველი ხანგრძლივი გათამაშების შემდეგ...

აგასი: „როცა ჩემი მეტოქე იღლება, ესე იგი, კაცურად მიმუშავია. ჩემი მიზანიც ეგ იყო — მეიძულებინა, მოსაგებად რაღაც განსაკუთრებულს ცდილიყო... მე კი დღეს ყველაფერი გამომივიდა — მოწოდებაც, ხელწაღმებიც, ხელუკუღმებიც... ამ მომენტამდე ეს ტურნირი ჩემთვის საუცხოოდ მიდის, ზედმეტად არც ერთ მატჩში დავხარჯულვარ და არც იღბალს უმტყუნია. მოკლედ — ჯერ-ჯერობით ყველაფერი რიგზეა".

შეგახსენებთ, რომ ჯადო ანდრანიკი ავსტრალიის ღია პირველობის სამგზის (1995, 2000, 2001) პირველოსანია და შანსი აქვს, გახდეს პირველი არაავსტრალიელი, ვინაც მელბურნულ სლემჯილდოს მეოთხედ მიითვლის. შარშან მან ტიტულის დაცვა მაჯის ტრავმის გამო ვერ შეძლო — ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ აგასიმ იქ უკვე ზედიზედ მე-19 მატჩი მოიგო.

მეოცეს ის 31 წლის სამხრეთაფრიკელ უეინ ფერეირასთან გამართავს, კაცთან, რომელსაც ის კარიერის განმავლობაში 10-ჯერ (10-ჯერვე მაგარსაფარზე) შეხვედრია და... 10-ჯერვე დაუჩოგნავს! უკანასკნელად მათ შარშან, სანხოსეურ მეოთხედფინალში ითამაშეს — ანდრემ მაშინ 6:4, 6:4 იმარჯვა.

ფერეირაზე ქვემოთ კიდევ ვისაუბრებთ, სააგასო ამბებს კი ბარემ ორ რამეს დავურთავთ: სებასტიან გროჟანს ანდრე მეხუთედ შეხვდა და მესამედ აჯობა, ხოლო თუკი ის მთლიანად ტურნირის მოგებასაც შეძლებს, მაშინ მისი 22-გზის მესლემტიტულე და წლით უფროსი მეუღლე, გერმანელი შტეფი გრაფი ყაბულს ყოფილა, მასთან ერთად როლანგაროსულ სეფეთიხნარზე შერეულ წყვილად იჯუფთავოს.

### ვინუსის ჯანი

როგორც თავიდანვე ვთქვით, თუკი აგასი პირველ რიგში გათვლასა და ხელოვნებას დაეყრდნო, ვინუსმა უმთავრესად კუნთები აათამაშა. მართალია, მან 32 უნებლიე შეცდომა დაუშვა და პირველ მოწოდებათა მხოლოდ 53 პროცენტი უწია მიზანს, მაგრამ ამ 53 პროცენტიდან გათამაშებათა 87 პროცენტი მოიგო და — საერთოდაც — როცა კი მისჭირდა, უმალვე უკეთ აჩოგნავდა.

ერთ მომენტში კი სულაც საათში 201-კილომეტრი სიჩქარის მქონე მოწოდებაც დააქუხა — 12 კმსთ-ით მეტი აგასის უსწრაფეს გუშინდელ ნაბრახუნევზე, მაგრამ 4 კმსთ-ით ნაკლები 1998 წელს ციურიხში მის მიერვე დამყარებულ რეკორდზე.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, გრძელფეხება დანიელა ჰანტუხოვა ვინუსმა 75 წუთში გაამასქნა. სლოვაკ გოგოს მასზე 11-ით ნაკლები იაღლიში კი მოუვიდა, მაგამ მისი 29 მომგებიანი დარტყმის წინააღმდეგ ოღენ 9 ქულიანი დარტყმა მოაქუჩა.

ვინუსი: „რეკორდის დამხობას სულაც არ ვცდილვარ, ეს თავისთავად გამოვიდა... საკუთრივ მატჩს რაც შეეხება, თუმცა ბევრჯერ შევცდი, მაგრამ ეს ტურნირზე ჩემი საუკეთესო თამაში იყო. დანიელას კი ნამდვილად არ უჩვენებია ის, რაც მას შეუძლია".

ჰანტუხოვა: „თუკი წარმატების მიღწევა გსურს, მეტი ღონე გჭირდება. ხანდახან მეც გამომდის შავდებივით მძლავრი გლაჯუნი, მაგრამ მათ მაინც ვერ შევედრები. ისინი ზოგჯერ ისე ურტყამენ, რომ ველარაფერს უპირისპირებ. დიდი სლემის ტურნირებზე სწორედ მათთან ვაგებ... ბოლო დროს სიმძიმეებით ვარჯიშს ვუმატე, მაგრამ მოწოდების გაუმჯობესებაც მჭირდება. მეტი ჯანი და მეტი სისწრაფე — აი რეცეპტი, რაც უილიამსების დარად ჩოგნაობის საშუალებას მომცემს... დღეს იყო მომენტები, როცა რაღაც შანსები მეც მქონდა, მაგრამ როგორც კი ბრეიკპოინტის საშიშროებას იგრძნობდა, ვინუსი უმძლავრესად აწოდებდა... ამ მატჩმა კიდევ ერთხელ მაჩვენა, რომ უფრო მეტი უნდა ვიმუშავო. ვინუსი ისეთი დიდი, ისეთი ჯანიანია, რატომ ვერ უნდა მოვახერხო ის, რომ მეც მასსავით გავზორბდე"...

შეგახსენებთ, რომ ვინუსი აშშ-ის ღია პირველობისა და უიმბლდონის ორ-ორგზის ჩემპიონია, შარშან როლან გაროსის ფინალშიც ითამაშა, მაგრამ არასოდეს გაუღწევია მელბურნული ნახევარფინალის მიღმა. წლეულს ის ამის გაკეთებას ციდა ბელგიელ ჟუსტინ ენენ-არდენთან ბრძოლაში ეცდება.

### მოცილენი

უეინ ფერეირას ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალისთვის აქამდე მხოლოდ ერთხელ — 1992-ში მიეღწია. მაშინ ის 20 წლის ჭაბუკი იყო და ბეჭზე არწივი ეხატა. თუმცა მისი საამორკვირაო დაუღალავი, კისკასი გარჯის შემხედვარე, ვერავინ იტყვის, რომ ის ახლა იმაზე უჯიგროდ ჩოგნაობს, ვიდრე ამ თერთმეტი წლის წინ.

ჯიგარი — ეს ის სიტყვაა, რაც ანდრე აგასიზე ამ ხუთი სანტიმეტრით მაღალ აფრიკელს სხვათაგან გამოარჩევს. არა მარტო საქმეში ჩახედულთ ახსოვთ მისი 5-სეტიანი დაძაბული განდაგანები, რომელთაგან არაერთი მელბურნ პარკზეც ჩათამაშებულა. უკანასკნელად თავისი რკინის ხასიათი ფერეირამ წინა კვირაში, ამერიკელ მარდი ფიშთან შეხლისას გამოავლინა, როცა პირველი სეტების წამგებმა მომდევნო სამის მიჯრით უჯუგება შეძლო.

და მერე რა, რომ ანდრე აგასისთან 10 საკარიერო პაექრობისას მან ჯამში მხოლოდ ერთი (!) სეტი მოიგო. ფერეირას სჯერა, რომ ახლა მას ნებისმიერი მეტოქის დამარცხება ხელეწიფება.

ფერეირა: „თავს ახლა გადასარევად ვგრძნობ და დასაკარგიც არაფერი მაქვს. ამიტომ ის ამბავი, რომ აგასისთან მუდამ ვპარტახდები, სულაც არ მაღელვებს. ეგეც არ იყოს — ბოლო წლის განმავლობაში ძალიან განვვითარდი, თუკი ჩემი ასაკის კაცზე ამის თქმა შეიძლება, მომწიფდი კიდეც... მენტალურად ახლა მართლაც ჩინებულად ვარ".

და ეს გუშინაც დადასტურდა, როცა პირველი სეტის ტაიბრეიკზე მოგების შემდეგ ფერეირამ მეორე სეტში ორი თავისი გეიმი დათმო, მაგრამ მერე ორჯერვე დაიბრუნა. ამას მეორე მოგებული ტაიბრეიკი მოჰყვა და... ჯიშად მეთიხნარე, ფეხის ტრავმის გამო გამაყუჩებლებით მოთამაშე კოლოფვერუროსნირი წაუხდა.

ავსტრალიის ღია პირველობა ესპანელებს წელსაც მოუგებელი დარჩათ...

რაც შეეხება ჟუსტინ ენენ-არდენისა და ისე-რა ესპანელის, ვირხინია რუანო პასკუალის შეხვედრას, ის მხოლოდ 82 წუთი გაგრძელდა. 20 წლის ციდა ბელგიელმა მეტოქის 20 შეცდომის წილ 31-ჯერ მიჰქარა, მაგრამ ჯამში მასზე 21-ით მეტი ქულიანი დარტყმა გააკეთა და იოლად იმარჯვა.

ვინუსს ის სულ შვიდჯერ შეხვედრია და ამ შვიდიდან პირველში წარმატების შემდეგ ყველა წააგო.

მაგრამ ფერეირას მსგავსად მოსალოდნელი ნახევარფინალის წინ ისიც დიდ გულზეა და ამბობს, რომ ვინუსთან თამაში ძალიან მოსწონს და რომ დასაკარგი არაფერი აქვს.

ისე კი, შეგახსენებთ, რომ მისი საუკეთესო სლემმიღწევა 2001 წლის უიმბლდონის ფინალში გასვლაა. მაშინ მან სწორედ ვინუსთან დათმო.

**ლევან ძელაურაძე**



ვინუს უილიამსი კაცივით ურტყამს





შტეფი გრაფმა ანდრე აგასი შეაგულიანა, შენ მელბურნში მოიგე და „როლან გაროსზე" კორტზეც შეგიწყვილდებიო

ჟინიანობით ცნობილი რუსთაველი გულშემატკივარი კარგ ხასიათზეა — „აზოტში" ვარჯიშობენ ამ გუნდის ოდინდელი ლიდერი ირაკლი ჯაფარიძე და ახლო წარსულში რუსთაველი კლუბის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე არჩილ ქლენტი. ისინი წინა სეზონის დასაწყისში „აზოტიდან" შედარებით წელგამართულ „დინამოში" გადავიდნენ. მათ გარდა „დინამოში" არაერთი ძლიერი კალათბურთელიც მივიდა და ალბათ დიდმა კონკურენციამ ამ ორს კვლავ რუსთავისკენ აქნევინა პირი. ჯერ საბოლოოდ არაა გადაწყვეტილი, ჯაფარიძე და ქლენტი „აზოტში" დარჩებიან თუ არა, ისინი ამჟამად რუსთაველებთან ერთად ბაკურიანში არიან და საქმესაც კარგი პირი უჩანს. გუშინ რუსთაველთა მწვრთნელ ოთარ ხმელიძეს ბაკურიანში შევეხმიანეთ და სხვა აზოტური ამბებიც გამოვკითხეთ

# აზოტს ძველი ბიჭები და ამბიციები უბრუნდებიან


მურაზ დოლენჯაშვილის ფოტო

— გავიგეთ, ჯაფარიძისა და ქლენტის დაბრუნება გადაგიწყვეტიათ...

— დიახ, ისინი ახლა ჩვენთან ერთად არიან ბაკურიანში. მართალია, „აზოტში" ჯერ არ ირიცხებიან, მაგრამ იმედი მაქვს, უახლოეს დღეებში ყველაფერი შეთანხმებით დასრულდება.

— შესაძლოა, ისინი „დინამოს" წინააღმდეგობას წააწყდნენ?

— შეიძლება, ჯაფარიძე და ქლენტი ხომ ჯერჯერობით დინამოელები არიან. თუმც არა მგონია, „დინამო" ჯიბრში ჩაუდგეს კალათბურთელებს, ჩვენ ამ კლუბთან მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებს. მთავარი ისაა, რომ ორივეს სურს „აზოტში" თამაში და ალბათ ასეც იქნება. ერთიცაა, არჩილ ქლენტს თბილისელებთან კონტრაქტი არ აკავშირებს და „დინამო" მის გუნდში დაკავებას, რომც მოისურვოს, ვერ მოახერხებს. თბილისელებს არაერთი ძლიერი კალათბურთელი ჰყავთ და არა მგონია, ამ ორ მოთამაშეს ვერ შეელიონ.

— ბაკურიანში, ცხადია, ფიზიკურად ემზადებით...

— დიახ, აქ ამისთვის ყველანაირი პირობებია. ბაკურიანში 14 იანვარს ჩამოვედით და 25-მდე დავრჩებით. დღეში ორჯერ ვვარჯიშობთ, დილაობით ჰაერზე დავრბივართ. ბიჭები თხილამურებითაც სრიალებენ.

— შემადგენლობაში სხვა ცვლილებებიც ხომ არაა?

— დაგვიბრუნდა ლევან ჩაჩუა, რომელიც პირად საქმეზე უცხოეთში იყო წასული.

— თუ ჯაფარიძე და ქლენტი საბოლოოდ თქვენთან დარჩებიან, ჩემპიონატში ალბათ ხეირიანი შედეგისთვის იბრძოლებთ...

— ბოლო დროს „აზოტმა" აშკარად დათმო პოზიციები. ახლა კვლავ აღმავლობის გზაზე ვართ და მჯერა, რომ მომავალი სეზონიდან ისევ ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ.

— წლეულს გამორიცხავთ ჩემპიონობას?

— პირველობა ვის არ უნდა, მაგრამ რეალურად არ შეგვწევს საამისო ძალა. წლეულს ოთხეულში მოხვედრას ვეცდებით, თუ მეტს მივაღწევთ, ხომ კარგი.

— მალე რუსთავი საქართველოს თასის გათამაშებას უმასპინძლებს. ეს თქვენი გუნდის ინიციატივა იყო?

— არა, ფედერაციის არჩევანია. „აზოტის" ახალგარემონტებული და რეკონსტრუირებული დარბაზი საჭირო მოთხოვნებს აკმაყოფილებს. თანაც ამ ტურნირის რუსთავში ჩატარებით ქვემო ქართლში კიდევ უფრო გაძლიერდება კალათბურთისადმი ინტერესი. ამჟამად პრობლემები შეგვექმნა. ისევე როგორც მთელ საქართველოს, რუსთავსაც შეუწყვიტეს გაზის მიწოდება და თუ მალე არ აღდგება, ალბათ ელექტროენერგიის გარეშეც დავრჩებით. თუმც ვფიქრობ, ტურნირის დაწყებამდე ყველაფერი მოგვარდება.

— შინაური კედლების დახმარებით ამ ტურნირში ალბათ კარგ შედეგს უმიზნებთ...

— შინ თამაში გარკვეულ უპირატესობას კი გვანიჭებს, მაგრამ არა მგონია, ჩემპიონატის ლიდერებს თასის მოგებაში შევეცილოთ. ჩვენ ჩვენსას ვეცდებით და ალბათ ჯგუფიდანაც გავალთ, თუმც მერე რა მოხდება, ძნელი სათქმელია.

**ირაკლი ბერტაია**

# დუდუ დადიანი ერთი წელი...



ზუსტად ერთი წელი გავიდა დუდუ დადიანის მკვლელობიდან. დამოუკიდებელი ქართული კალათბურთის თვალსაჩინო წარმომადგენლის, „ვითასთან" ერთად საქართველოს ხუთგზის ჩემპიონის და ეროვნული ნაკრების წევრის, შემდგომში სპორტული მოღვაწის, 1999 წლიდან კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის დუდუ დადიანის ახალგაზრდა სიცოცხლე 2002 წლის 22 იანვარს მკვლელის ტყვიამ ჩააქრო. ზუსტად ერთი წლის წინ მას სამსახურის კიბესთან დახვდნენ და გულში ესროლეს. ვინაა მკვლელი? ამ კითხვაზე პასუხი სამართალდამცავებს უნდა გაეცათ. ისინი კვლავაც სდუმან.

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# დაწვით ეს ფირი!

## თამაში, რომელმაც ზანგებიც კი გააწითლა

— 20 იანვარი —

**ნიუ იორკი 72:65 მაიამი**

**18:12, 9:18, 29:24, 16:11**

**ნიუ იორკი:** ეისლი (8), ჰიუსტონი (4), სპრიუელი (24), ჰარინგტონი (4), ტომასი (15); ანდერსონი (10), ვორდი (7), ვეზერსპუნი, დოლიკი, ნაითი

**მაიამი:** ბესტი (4), ჯონსი (19), ბატლერი (6), ალენი (13 ქულა, 13 მოხსნა), გრანტი (8 ქულა, 13 მოხსნა); სტეფანია (24 წუთი, 8 ქულა, 12 მოხსნა, 1 ჩაჭრა), ჯეიმსი (7), რ. ბატლერი

შეხედავ და შეუძლებელია ეჭვი შეგეპაროს, თითქოს ნბა-ს გუნდები თამაშობენ, აქეთ ლატრელ სპრიუელი და ალან ჰიუსტონი, იქით — ედი ჯონსი და ბრაიან გრანტი... მწვრთნელებიც იქაურები არიან. აი, მშფოთვარე პატ რაილიმ სკამიდან თეთრი ახმახი ააყენა, ეს ხომ ჯორჯიელი ვლად სტეფანიაა, „ნიუ იორკ" — „მაიამის" მატჩის ყველაზე მაღალი მონაწილე. რაილიმ იგი ბრაიან გრანტის ნაცვლად მოედანზე შეუშვა და კურტ ტომასის შეზღუდვა დაავალა... ლამაზად შეღებილი ფიცარნაგის საპირისპირო კუთხეში რაილის ოპონენტს, დონ ჩეინის გაბარდნილი ნიკაპი მუჭზე დაუბჯენია. ღელავს, ალან ჰიუსტონმა უკვე მერამდენედ ააცილა ბურთი... კი ეს ნბა-ა, კაცს არც დარბაზი აერევა, ეს ხომ „მედისონ სკვერ გარდენია", ნიუიორკელების და სრულიად ამერიკის სიამაყე. რამდენ დიად კალათბურთელს უოცნებია ამ დარბაზში ბოლო წამზე ჩაეგდო ბურთი და 20 ათასი ნიუიორკელისთვის ხმა ჩაეწყვიტა...

აქ ყველაფერი ნბა-ს მძაფრი სუნითაა გაჟღენთილი, მაგრამ აბა, მოედანზეც შევიხედოთ. ლამაზი მაისურები აცვიათ მოთამაშეებს... საინტერესოა, რამდენი საათი მოანდომა ბრაიან გრანტმა თმების დაწვნას? არც ლატრელ სპრიუელის პარიკმახერი იქნება კარგ დღეში, თუმც ამ ჭირვეული კალათბურთელის თავის გალამაზებაში ალბათ კარგ ფულსაც იღებს, ერთ ჯერზე ასე 500 დოლარს მაინც...

...კიდევ რა ხდება მოედანზე? საინტერესო არაფერი. თუკი იქ დალულებულ „სვარკას" ხუთი წუთით მაინც გაუძელით, ისევ გრანტის წნულებზე გადართავთ მოღლილ გონებას, რადგან ეს არაა ნბა-ს თამაში, ესაა სანახაობის ამ კონვეიერის უვარგისი ნაწარმი. მაგას არ ამბობს სპრიუელი? დაწვით ამ მატჩის ჩანაწერი, რათა არავინ არასდროს ნახოს.

აგერ, მეექვსე რიგში ღიპიანი, მელოტი ძია რომ ზის, ალბათ ფულიანი კაცია, რაკი „მედისონ სკვერში" შვილთან ერთად მოსულს კარგი სექტორის ორი სკამი ორნახევარი საათით 280 დოლარად უყიდია. მან რომელიღაც გაზეთში ამოიკითხა, რომ „მაიამი ჰითის" ცეცხლოვანი გამთამაშებელი ტრევის ბესტი თავბრუს დაახვევს „ნიუ იორკის" დამცველებს, ბიძა კი ასეთს ვერაფერს ამჩნევს მოედანზე. ბესტს ცეცხლოვანებისა არაფერი ეტყობა, ხოლო „ზემძლავრი" ოთელა ჰარინგტონი მისი დაკვირვებით მხოლოდ ტლანქი ბოთეა. ძია მოტყუებული კაცის სახით საათს აშტერდება. ფულიანი კაცია, მაგრამ გულში ალბათ წყალში გადაყრილ 280 დოლარის დარდი აქვს. პირველი ნახევარი 30:27 დამთავრდა. NBC-ს კომენტატორი აცხადებს რომ პირველ ტაიმში ჩაგდებული 57 ჯამური ქულა ნბა-ს ყველა დროის ანტირეკორდია. „ამ გუნდების შეხვედრები არასდროს გამოირჩეოდა სინატიფით და სილაღით, მაგრამ ეს თამაში ყველა წინას აჭარბებს. ესაა პროჟექტორებით განათებული არიზონის უდაბნო, სადაც წვიმა რამდენიმე წლით იგვიანებს" — ისმენენ მატჩის ტელემაყურებლები.

„ტაიმის შემდეგ ტაბლოს რომ ავხედე, თვალებს არ დავუჯერე. მეორე მეოთხედში ჩვენ მხოლოდ 9 ქულას დავჯერდით. ამდენს მე მარტო ჩავაგდებ" — დონ ჩეინი, „ნიუ იორკის" თავკაცი. მისმა გუნდმა მხოლოდ მესამე მეოთხედში რის ვაივაგლახით გადალახა 30-ქულიანი ზღვარი.

როგორც იქნა, დამთავრდა თამაში. „ნიუ იორკმა" 72:65 მოიგო, მაგრამ თავიანთი გუნდის გამარჯვებამაც ვერ გამოუკეთა გუნება მაყურებლებს. ალბათ ნანობენ, ის საღამო სადმე სხვაგან რომ არ გაატარეს. ვინძლო „მაიამისაც" ლანძღავენ, ეს გუნდი ხომ „ნიუ იორკზე" მეტადაა დაცვაზე ორიენტირებული და მისი მონაწილეობით თამაშები მუდამ მძიმე სანახავია.

ძალიან ცუდი დღე იყო, მაგრამ ამ ერთი უჟმური საღამოს მიუხედავად, ნიუიორკელები მაინც არ დაივიწყებენ გზას „მედისონისკენ". ორი დღის შემდეგ ხომ აქ „ორლანდო" ჩამოდის, კიდევ რამდენიმე დღეში „საკრამენტოც" ეწვევა ნიუ იორკს და კვლავ აყვავდება კალათბურთი, „მაიამი" კი მის მორიგ ჩამოსვლამდე დაავიწყდებათ ქვეყნის უდიდეს ქალაქში.


REUTERS ნიუ იორკიდან

ვლადიმერ სტეფანია ოთელა ჰარინგტონს აილობა

**ირაკლი ფირცხალავა**

**ვაშინგტონი 89:74 დენვერი**

**ვაშინგტონი:** ჰიუზი (20), ჯორდანი (25), რასელი (10), ლეიტნერი (4), ჰეივუდი (4); ტომასი (10), ლუ (10), დიქსონი (4), საიმონსი (2), ბრაუნი

**დენვერი:** ჰარინგტონი (8), იარბრო (8), ბოუენი (2), ჰოვარდი (25), ილარიო (7); ვაიტი (8), ანდერსონი (5), ჰარვი (4), კროტი (4), ბლუნტი (2), ცძიტიშვილი (5 წუთი, 1 ქულა, 1 მოხსნა)

**დეტროიტი 88:78 ინდიანა**

**დეტროიტი:** ჰამილტონი (18), გოლუსი (14 ქულა, 15 მოხსნა, 5 დაფარება)

**ინდიანა:** მილერი (28)

**ფილადელფია 99:100 ბოსტონი**

**ფილადელფია:** აივერსონი (29)

**ბოსტონი:** პირსი (40), უოლკერი (33)

**ატლანტა 102:115 ჩიკაგო**

**ატლანტა:** აბდურ-რაჰიმი (27), ტერი (23), რობინსონი (20)

**ჩიკაგო:** როუზი (37), ფიზერი (24)

**სან ანტონიო 87:82 ჰიუსტონი**

**სან ანტონიო:** დანკანი (32)

**ჰიუსტონი:** მობლი (15)

**იუტა 106:103 ნიუ ჯერსი**

**იუტა:** სტოქტონი (24), მელოუნი (24), ჰარპრინგი (23)

**ნიუ ჯერსი:** კიდი (33), კიტლზი (22)

**ნიუ ორლეანი 114:102 ფინიქსი**

**ნიუ ორლეანი:** ვესლი (28), მაშბერნი (22), მაშბურნი (19)

**ფინიქსი:** მარიონი (25 ქულა, 16 მოხსნა), მარბერი (22), სტუდემაიერი (22)

**მინესოტა 89:81 ტორონტო**

**მინესოტა:** გარნეტი (19 ქულა, 15 მოხსნა, 8 პასი, 5 დაფარება)

**ტორონტო:** ლენარდი (22)

**გოლდენ სტეიტი 80:102 საკრამენტო**

**გოლდენ სტეიტი:** რიჩარდსონი (28)

**საკრამენტო:** ვებერი (16), დივაცი (16), სტოიაკოვიჩი (16)

**ლეიკერსი 96:92 კლიპერსი**

**ლეიკერსი:** ონილი (32 ქულა, 15 მოხსნა), ბრაიანტი (26 ქულა, 11 პასი, 8 მოხსნა)

**კლიპერსი:** მილერი (20

**მემფისი 87:99 პორტლენდი**

**მემფისი:** რაიტი (22)

**პორტლენდი:** მაკინისი (15)

# დიმიტრი იაშვილი მამალი მორაგბეა

*შვილები გავზარდეო, მიშელ იაშვილმა თქვას. ქართველი ემიგრანტის შთამომავლის და 60-იანი წლების საფრანგეთის ნაკრების ვარსკვლავის უფროსი ვაჟი გრეგუარი უკვე მეორე წელია, ბორჯღალოსანია, შუათანა დიმიტრი კი სადაცაა, საფრანგეთის ნაკრების ლურჯ მაისურას მოირგებს*

ეს ამბავი მაშინ გაცხადდა, როცა „მამლების" მწვრთნელმა ბერნარ ლაპორტმა ექვს ერზე წარსადგენი განაცხადი გამოაქვეყნა. 30-კაციან სიაში დიმიტრი იაშვილიცაა. კაცმა რომ თქვას, 22 წლის დიმიტრის გამოძახება მოულოდნელი არც ყოფილა. რაკი შუათანა იაშვილმა ბოლო ორი სეზონი ბრწყინვალედ ჩაატარა — შარშანწინ ინგლისურ „გლოსტერში", შარშან კი ფრანგულ „ბიარიცში".

დიმიტრი შერკინების გამთამაშებელია და დამრტყმელობაც ფრიადზე ეხერხება. ინგლისური „გლოსტერიდან" შინ მიბრუნებული უმალ იქცა ფრანგული ლიგის გრანდ „ბიარიცის" ლიდერად. იგი კლუბის სული და გულია. „დიმიტრი ერთ წუთს არ ჩერდება, სულ მოძრაობს და პასიც შესანიშნავი აქვს, რაც მთავარია, მისებური მოედნის ხედვა და ფეხით თამაში უხადია" — ამბობს ლაპორტი.

საფრანგეთის ნაკრებში დიმიტრის პოზიციაზე 2002 წლის მსოფლიოს საუკეთესო მორაგბეობის კანდიდატი ფაბიენ გალტიე თამაშობს. გალტიე ახლა კარიერის მწვერვალზეა და უმაღლეს დონეზე კიდევ პა, პა, 2 წელი იყოს. მერე ალბათ ნაკრებსაც გამოეთხოვება და გზას დიმიტრის დაუთმობს. არადა, იყო შანსი, დიმიტრის უფროსი ძმისთვის მიებაძა და ისტორიული სამშობლოს ნაკრების სამსახურში ჩამდგარიყო. მის გაბორჯღალოსნებას საქართველოს რაგბის კავშირიც ცდილობდა. 1997 წელს ჩილეში, ჭაბუკთა მსოფლიოს თასზე დიმიტრი საქართველოს ნაკრების მე-9 ნომერიც იყო, მაგრამ მერე ამომავალ ვარსკვლავზე ევროპულმა კლუბებმა გააჩაღეს ნადირობა და ცხადი გახდა, დიმიტრის საფრანგეთის ნაკრებში მიწვევა მხოლოდ დროის ამბავიღა იყო.

ერთ-ერთ ინტერვიუში დიმიტრის და გრეგუარის მამამ მიშელმა გვითხრა, ვოცნებობ, დიმიტრიმ საფრანგეთის ნაკრებში ითამაშოს და მოედანზე თავის უფროს ძმას გრეგუარს დაუპირისპირდესო. თუ განგებამ ინება, ეგებ საფრანგეთისა და საქართველოს ნაკრებები შეხვდნენ კიდეც ერთმანეთს და ძმური ჯახიც შედგება.

საფრანგეთის ნაკრებში დიმიტრის დებიუტი ალბათ 15 თებერვალს შედგება. ექვსი ერის პირველ მატჩში საფრანგეთი ინგლისს სტუმრობს. მატჩი „თქვიქნემზე" გაიმართება, სადაც „მამლებს" 1997 წლის მერე არ მოუგიათ.

სამატჩოდ ლაპორტმა 30 კაცი გამოიძახა. აქედან შეირჩევა ის 22, მატჩის განაცხადში რომ მოხვდება. იაშვილის რჩეულებში მოხვედრა გადაწყვეტილი ამბავია, რაკი ლაპორტმა თქვა, დიმიტრის უეჭველად წავიყვან ინგლისშიო.

გაფართოებულ შემადგენლობაში ლაპორტმა ხუთი მონფერანელი შეიყვანა — ოლივიე ბრუზე, ოლივიე მანე, ჟერალ მერსერონი, დევიდ ბორი და ორელიენ რუჟერი. კიდევ ერთი მონფერანელი ტონი მარში მუხლის ტრავმის გამო დააკლდა თავისიანებს.

კიდევ ერთმა ტრავმამ აიძულა ლაპორტი, შემადგენლობაში იძულებითი ცვლილება მოეხდინა. საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში „პოს" მორკინალი იმანოლ ჰარინირდოკი დაშავდა და მწვრთნელმაც მას „სტად ფრანსეს" მორაგბე პატრიკ ტობაკო ჩაანაცვლა.


დიმიტრი იაშვილი

ფრანგთა გაფართოებული შემადგენლობა ასეთია:

***მორკინალები:*** *ჟან-ჟაკ კრენკა, მეტიუ ლივრემონი, ჟან-ბატის რუ (სამივე „აჟანი"), პატრიკ ტობაკო, პიერ დე ვილერი, სილვენ მარკონე, რემი მარტინი, დავიდ ორადო („სტად ფრანსე"), კრისტიან კალიფანო („სარასენსი"), რაფაელ იბანესი („კასტრი"), ფაბიენ პულე, ჟან ბოილო („ტულუზი"), დავიდ კუზინე, სერჟ ბესენი („ბიარიცი"), ოლივიე მანე, ოლივიე ბრუზე („მონფერანი").*

***უკანა ხაზი:*** *ფაბიენ გალტიე, კრისტოფ დომინიკი („სტად ფრანსე"), დიმიტრი იაშვილი, გიიომ ბუსე, ნიკოლა ბრუსკე („ბიარიცი"), ჟერალ მერსერონი, დავიდ ბორი, ორელინ რუჟერი („მონფერანი"), ფრანკ გელესი („აჟანი"), დემიენ ტრული („პო"), ტომას კასტანედი („სარასენსი"), კლემენ პოიტრენოდი, ვენსან კლერკი, ქსავიე გარბაჟოზა („ტულუზი").*

**ბაჩო სვანიძე**



# მადრიდში ოლიმპიური ოცნების კოშკები ააგეს

**მადრიდს** 2012 წლის ოლიმპიადის მასპინძლობა სურს. ეს კანდიდატურა ესპანეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა დაამტკიცა, ოღონდ ამ საქმეში მადრიდი მარტო არ იქნება. ოლიმპიადის მასპინძლობაში სევილიაც შეუამხანაგდება, რომლის მცდელობაც, 2004 ან 2008 წლის ოლიმპიადებისთვის ეულად ემასპინძლა, კრახით დასრულდა. უფროსი მადრიდი იქნება, ასე გადაწყვიტა ოლიმპიური კომიტეტის 157 წევრმა, წინააღმდეგი 103 იყო.

თავის მხრივ სევილიაც იხეირებს, რაკი მადრიდთან ერთად ოლიმპიადის მასპინძლობის შანსები ერთიორად მოემატება. „მადრიდს უდიდესი ავტორიტეტი აქვს მთელ მსოფლიოში. ჩვენს ოცნებას, მადრიდი ოლიმპიური ქალაქი გახდეს, იმედია, ახლენა უწერია" — განაცხადა იგნასიო დელ რიომ, რომელიც წარადგენს კიდეც საორგანიზაციო პროგრამას საერთაშორისო ოლიპიურ კომიტეტში.

დელ რიოს ოპტიმიზმი იმასაც ემყარება, რომ მადრიდი ერთადერთი უდიდესი ქალაქია ევროპაში, რომელსაც ოლიმპიადისთვის არ უმასპინძლია. „შეუძლებელს შევძლებთ. 2012 წლისთვის მადრიდი ულამაზესი ქალაქი იქნება პლანეტაზე. ავაშენებთ უდიდეს ოლიმპიურ სოფელს, განვაახლებთ სპორტულ კომპლექსებს და სტადიონებს. ერთი სიტყვით, თუ ოლიმპიადას ვუმასპინძლებთ, ეს დაუვიწყარი მოვლენა იქნება" — ამბობს მადრიდის მერი, ხოსე მარია ალვარესი.

მერია და საორგანიზაციო კომიტეტი 600-დან 900 მილიონამდე ევროს დახარჯავენ, რათა ქალაქში ახალი თანამედროვე სასტუმროები და სპორტული კომპლექსები ააშენონ.

უკვე დაიწყო სტადიონ „პეინეტას" რეკონსტრუქცია, რომელიც მადრიდის გარეუბანში მდებარეობს. „პეინეტამ" შარშან მძლეოსანთა მსოფლიოს თასს უმასპინძლა. რეკონსტრუქციის შემდეგ მისი ტევადობა 35 ათასიდან 80 ათასამდე გაიზრდება.

5-მილიონიანი მადრიდის გარდა 2012 წლის ოლიმპიადის მასპინძლობა ნიუ იორკს, მოსკოვს, პარიზს, ლონდონსა და ბრაზილიასაც სურთ. მასპინძელ ქალაქს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი 2005 წელს დაასახელებს.


იგნასიო დელ რიო და ხოსე მარია ალვარესი რატომღაც უკვე ხარობენ



## B·A·R

BAR-ის სახელით ასპარეზობს 1999 წლიდან
(1960-98 წლებში „ტირელი")
67 რბოლა; 44 ქულა
კონსტრუქტორთა თასზე საუკეთესო შედეგი V ადგილი (2000)
2002 წელს დაიკავა VIII ადგილი (7 ქულა)
**აღმასრულებელი დირექტორი:** დევიდ რიჩარდსი
**ტექნიკური დირექტორი:** ჯეფ უილისი
**ბოლიდი:** BAR 005
**ძრავა:** „ჰონდა RA003E" (V10)
**საბურავები:** „ბრიჯსტოუნი"
**ტესტ პილოტები:** ენტონი დევიდსონი (დიდი ბრიტანეთი) და ტაკუმა სატო (იაპონია)


**ჟაკ ვილნევი**

**კანადა**
დაიბადა 1971 წლის 9 აპრილს სენ ჟან სიურ რიშელიეში
ცხოვრობს მონტე კარლოში
უცოლო
სიმაღლე 168 სმ; წონა 67 კგ
დებიუტი ფორმულ 1-ში: ავსტრალიის დიდი პრიზი (1996)
პირველი გამარჯვება: ევროპის დიდი პრიზი (1996)
116 რბოლა; 11 მოგება; 13 პოული; 9 უსწრაფესი წრე; 213 ქულა
მსოფლიოს 1997 წლის ჩემპიონი
2002 წელს დაიკავა მე-12 ადგილი (4 ქულა)
ასპარეზობდა „უილიამსში" (1996-98)
BAR-შია 1999 წლიდან


**ჯენსონ ბატონი**

**დიდი ბრიტანეთი**
დაიბადა 1980 წლის 19 იანვარს ფრომში
ცხოვრობს მონტე კარლოში
უცოლო
სიმაღლე 182 სმ; წონა 74 კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში: ავსტრალიის დიდი პრიზი (2000)
51 რბოლა; 28 ქულა
ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი მეშვიდე ადგილი (2002)
ასპარეზობდა „უილიამსში" (2000), „ბენეტონში" (2001) და „რენოში" (2002)
BAR-შია 2003 წლიდან

# ბარი: რა საჭიროა მეგობარი?!

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

**შარშანდელი** სეზონი ბრიტანელ-ამერიკელ მეთამბაქოეთა გუნდის არსებობის ოთხწლიან ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უხეირო იყო. ათგუნდა ჩემპიონატში შვიდიოდე ქულა და მხოლოდ მერვე ადგილი ვერაფერი შედეგია, მით უმეტეს, რომ ბარელებს შემადგენლობაში ბოლო ათწლეულის საუკეთესო მეფორმულეთაგანი ჟაკ ვილნევი ჰყავთ.

„უილიამსში" ფანტასტიკური მიღწევის შემდეგ, როცა უკვე მეორე სეზონში ჩემპიონობა მოიპოვა, 80-იანი წლების ლეგენდარული ფერარელის ჟილ ვილნევის ვაჟიშვილი მიზეზთა გამო 1999 წელს BAR-ში გადაბარგდა. ცხადია, ამ აშკარად მცდარი ნაბიჯის გადადგმას გულში ნანობს, მაგრამ დაკარგულ ოთხ წელს მაინცდამაინც არ მისტირის, მაშინ ეს სწორ გადაწყვეტილებად ჩავთვალეო. არადა, მისი გაქანების პილოტისთვის ბოლო 67 რბოლაში მხოლოდ ორი პოდიუმი, რასაკვირველია, კრიზისის ტოლფასია. ჟაკს ბარმენებთან კონტრაქტი წლეულს უმთავრდება და გაგრძელებაზე არც ფიქრობს. თუ გაისადაც ამ დონის საჯინიბოს შესთავაზებენ, „სამეფო რბოლები" იქნებ სულაც მიატოვოს.

ვილნევის მეწყვილე თავიდან ბრაზილიელი რიკარდო ზონტა იყო, მომდევნო ორ სეზონში — ფრანგი ოლივიე პანი. გუნდის შეფობამ ამჯერად ინგლისელი ჯენსონ ბატონი შეურჩია. ასევე „უილიამსში" ფეხადგმული 23 წლის პილოტი თვლის, რომ გაუმართლა და სწორედ BAR-ში შეძლებს თავისი საჩემპიონო ოცნების ხორცშესხმას.

საჯინიბოს მეთაურ დევიდ რიჩარდს თავის ამბიციურ მრბოლთა არცთუ თბილი ურთიერთობა კი აფიქრებს, მაგრამ, მისი აზრით, უმთავრესია კოლეგათა სამსახურებრივი დამოკიდებულება, ტრასის გარეთ მეგობრობა კი სულაც არაა აუცილებელი.

ახალი ბოლიდის პრეზენტაცია ბარსელონაში, „კატალუნია მონტმელოს" ავტოდრომზე შედგა სატესტო, ესე იგი, საქმიან ვითარებაში. „ჰონდას" ახალი ძრავა, წინამორბედზე თითქმის 15 კილოგრამით მსუბუქი, შემქმნელთა აზრით, უფრო მძლავრიცაა და პოდიუმისთვის ბრძოლის რეალური შანსი აქვს. ერთი სიტყვით, ბარელთა მთელი შემადგენლობა იმედოვნებს, რომ კონსტრუქტორთა თასზე თავიანთ სამი წლის წინანდელი საუკეთესო შედეგს გაიმეორებენ, ანუ ხუთეულში დაბრუნებას შეძლებენ, თუმც საამისოდ მათივე ძალის კონკურენტთა (ზაუბერი, რენო, ჯორდანი) გააფთრებული წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევთ.

**გია ახალაძე**


ორი მთავარი და ორიც სათადარიგო ბარელი: ჟაკ ვილნევი, ენტონი დევიდსონი, ტაკუმა სატო და ჯენსონ ბატონი

**Andebol Portugal'2003**

## მსოფლიოს ჩემპიონატი. ვაჟები

**პორტუგალია. 20 იანვარი - 2 თებერვალი**

# რუსები ხელის მუხრუჭით დადიან

**ტრადიციისამებრ**, მსოფლიოს სახელბურთო ფორუმის ფავორიტები ამჯერადაც ევროპელები არიან — ორგზის ჩემპიონი საფრანგეთი, ექსჩემპიონი შვედეთი, ოლიმპიური ჩემპიონი რუსეთი, აგრეთვე იუგოსლავიისა და ესპანეთის ნაკრებები. პორტუგალიური შედეგებით საუკეთესო ხუთეული 2004 წლის ათენის ოლიმპიადის საგზურსაც მიიღებს.

პირველივე ტურში ლამის სენსაცია მოხდა. უტიტულო, მაგრამ ამბიციურმა უნგრელებმა, რომლებიც საერთოდ ვერ მოხვდნენ წინა ჩემპიონატის 24-გუნდა ფინალურ ეტაპზე, კინაღამ ქულა წაართვეს სიდნეის ტრიუმფატორ რუსებს. მადიარებმა სახელოვან მეტოქეს ტოლი არაფერში დაუდეს და მართალია, ვლადიმერ მაქსიმოვის ბიჭები მათი ერთ-ერთი ლიდერის, ალექსეი რასტვორცევის მორიგი ზუსტი ტყორცნის შემდეგ ბოლო წუთზე წინ გავიდნენ — 31:30, მაგრამ საფინალო სასტვენის წინ უნგრელთა მთავარმეგოლე ლასლო ნაგის ნასროლი ლეგენდარული ანდრეი ლავროვის კარის ძელს რომ არ მოხვედროდა, სლავები მეტად საჭირო ქულას დაკარგავდნენ.

პირველი დღის 12 შეხვედრიდან სარეკორდო, 40-ბურთიანი სხვაობით გაიმარჯვეს ისლანდიელებმა, რომელთა კარსაც ამ ქვეყნის მოქალაქეობამიღებული ჩვენი თანამემამულე როლანდ ერაძე იცავს.

გუშინდელი მატჩები ასე დასრულდა:

**A ჯგუფი**

**კუვეიტი 14:36 იუგოსლავია**
**მაროკო 24:28 ტუნისი**
**პოლონეთი 25:34 ესპანეთი**

**B ჯგუფი**

**ავსტრალია 16:46 გერმანია**
**გრენლანდია 17:30 ისლანდია**
**ქატარი 21:31 პორტუგალია**

**C ჯგუფი**

**არგენტინა 26:26 რუსეთი**
**ს. არაბეთი 18:25 ხორვატია**
**უნგრეთი 24:29 საფრანგეთი**

**D ჯგუფი**

**ეგვიპტე 25:25 ალჟირი**
**სლოვენია 29:25 შვედეთი**
**ბრაზილია 24:28 დანია**



გერმანელმა შტეფან კრეტშმარმა ავსტრალიელებს ათჯერ შეუგდო



*სამსოფლიოსთასო მომოთხილამურეებმა ნოემბრიდან მოყოლებული ცხრა მთა გადაიარეს და ამ უქმეებზე, მორიგ სათასო ეტაპზე, შვეიცარიის ალპებში შეფენილი სოფლის, ვენგენის ფერდობებზეც ჩამოსრიალდნენ*

# აკურა — საკურა

## იაპონია სასაკის აყვავებული ალუბლის რტოსავით უყურებს



REUTERS ვენგენიდან

ნამდვილი სენსაცია: აკურა სასაკი

ეს დღეებია, თხილამურებზე შედგა ჰერ ჰერმინატორი, გოროზი ავსტრიელი ჰერმან მაიერი, რომელიც შარშანწინ ავარიაში მოყვა და ბეწვზეა გადარჩენილი. ჰერმინატორი ხელახლა სწავლობს თხილამურების ანბანას და სანამ თავს შინ იგრძნობს, სხვები ფავორიტობენ — მაიერის თანამემამულე სტეფან ებერჰარტერი და იანკი ბოდე მილერი. მცოდნე ხალხის პროგნოზებში და შედეგებში ძირითადად ეს ორი გვარი ხვდება თვალს. ეგაა, ამ უქმეებზე ორივეს მოეცარა ხელი. გამარჯვებით სხვებმა გაიხარეს.

იტალიელი ჯორჯო როკა მრავალი წელია, თხილამურებზე დგას და მსოფლიოს თასისთვის პირველად როდი სრიალებს, მაგრამ აქამდე არასდროს მოუგია რომელიმე სათასო ეტაპი. ვენგენის ტრასაზე კი, რომელიც სლალომის ტიპისაა, მას ბედმა გაუღიმა, ბოდე მილერს ფეხი დაუცდა და პირველობაც როკას დარჩა. „ეს ულირსშესანიშნავესი დღეა ჩემთვის. ბოლოს და ბოლოს მე პირველი ვარ.“

ისე, იტალიელს სხვა მხრივაც გაუმართლა, ორი ჩამოსრიალების ჯამში მან მხოლოდ 0,01 წამით მიასწრო ფინიშთან ყმაწვილ იაპონელს აკირა სასაკის. ორიოდ წინადადების თქმას ეს ჭრილოთვალება ბიჭიც იმსახურებს. თუკი როკას არასდროს მოუგია რაიმე სათასო ეტაპი, სასაკის კარიერის აქტივში, ეტაპზე პირველობას ვინ ჩივის, ჩასათვლელი ქულებიც არ უჭყავის. 1999 წელს საერთო ჩათვლა მან მე-20 ადგილზე დაასრულა სლალომისტებში. ვენგენის ფერდობებზე დასაცურებლად გამზადებულთა შორის ის რიგით 65-ე იყო და, ყველასთვის მოულოდნელად, პირველი ცდა მეშვიდე დროით დაასრულა. მეორე ცდაზე მან სულაც საუკეთესო დრო აჩვენა და სულ გადარია ხალხი. „ეგ იაპონელი ბიჭი მეორე ცდაზე საუკეთესო იყო — ამბობდა ჯორჯო როკა — ნამდვილად გამიმართლა, რომ პირველობა მე დამრჩა და არა მას“.

სასაკი აქამდე ვერც იოცნებებდა ეტაპის მოგებაზე, ვენგენის კვარცხლბეკის მეორე ადგილიდან კი პირველობა უკვე დაუპყრობელ პიკად აღარ მოჩანს. ის 21 წლისაა და მის თხილამურს არაერთი ფერდობი ელის.

რაც შეეხება საერთო ჩათვლის ამერიკელ ლიდერს ბოდე მილერს, როგორც ვთქვით, მას ფეხი დაუცდა. პირველ ჩამოქროლებაზე ერთ რთულ მოსახვევში მან ძლივს შეინარჩუნა წონასწორობა. ფინიშამდე მშვიდობიანად ჩამოსულს კი სულ დაეფერფლა ბრძოლის კოცონი და მეორე ცდაზე ფრთხილად დაეშვა. ამის გამო მილერმა გამარჯვებულ როკასთან მთელი წუთნახევარი წააგო და ეტაპი მე-11 ადგილზე დაასრულა. მაინც ვერ დაიჩივლებს, რაკი ეს საკმარისი აღმოჩნდა საერთო ჩათვლაში პირველობის შესანარჩუნებლად. ებერჰარტერი, რომელმაც სლალომამდე ორი დღით ადრე ვენგენშივე სწრაფდაშვება მოიგო, მაგრამ რატომღაც სლალომში არ მიუღია მონაწილეობა, ამერიკელს 43 ქულით ჩამორჩება. ეს არც ისე ბევრია.

რაღა თქმა უნდა, მსოფლიოს თასი ქალებისთვისაც ტარდება, მაგრამ ვაჟებისგან განსხვავებით, სუსტი სქესის ძლიერ წარმომადგენლებში მოულოდნელობები იშვიათად ყვირიან. აგერ, შვეიცარიის გადაღმა იტალიურ ალპებში კორტინა დამპეცოში ფერდობი ყოჩაღებისა იყო. ეტაპი შვედმა ანია პაერსონმა მოიგო, რომელიც საერთო ჩათვლაში მე-5 ადგილზეა, ამდენად, სპორტულ თუ არა სამთოსათხილამურო სამყაროში წინაანსახელიანი გოგონაა. გოგოები გიგანტურ სლალომში ცდიდნენ თავს, პაერსონის შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა საერთო ჩათვლის ერთპიროვნულმა და ერთობ წინგაჭრილმა ხორვატმა იანიცა კოსტელიჩმა. მხოლოდ მესამე ადგილი შეხვდა გიგანტურ სლალომთა იტალიელ დედოფალ კარენ პუტცერს.

**ქოტე ყორშია**

**მსოფლიო თასის საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| **ვაჟები** | |
| ბოდე მილერი (აშშ) | 858 ქულა |
| შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) | 815 |
| ჯეტილ ანდრე ამოდტი (ნორვეგია) | 872 |
| ანდრეას შიფერერი (ავსტრია) | 437 |
| დიდიე დეფაგო (შვეიცარია) | 426 |
| **ქალები** | |
| იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) | 1248 |
| კარენ პუტცერი (იტალია) | 745 |
| მიქაელა დორფმაისტერი (ავსტრია) | 847 |
| კაროლ მონტილე (საფრანგეთი) | 598 |
| ანია პაერსონი (შვედეთი) | 560 |



**NHL**

## რეგულარული ჩემპიონატი

# ამოგაძრობ მაგ ენას!

20 იანვარი

**კალგარი 4:3 ედმონტონი *2:0 2:0 0:3***
**1:0 კონროი (2), 2:0 ლოური (9), 3:0 კონროი (29), 4:0 დრური (32), 4:1 სვანსონი (54), 4:2 რიზონერი (57), 4:3 იორკი (58)**

მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა მოულოდნელი რამ მოხდა. სტუმრები 0:4 აგებდნენ და, ცხადია, გაღიზიანებულები იყვნენ. ამ დროს კაცმა, რომელსაც კალგარის თილისმის, დიდი ძაღლის, ჰარვის ნიღაბი მოერგო, ცეცხლზე ნავთი დაასხა — ედმონტონელთა სათადარიგო სკამთან „მიცუნცულდა“ და ენის გამოყოფით და სხვა ჟესტებით „მენავთობეთა“ თავკაცი კრეიგ მაქტავიში გააცოფა. მან ვეღარ მოითმინა, ნიღაბს გრძელი, წითელი ენა ამოაძრო და ყინულზე ისროლა. ჰარვი მანამდე არ მოეშვა ჰოკეისტებს, სანამ წყალი არ დაასხეს. თავად მაქტავიშმა სულაც ცემა დაუპირა.

რა იცოდა ოინბაზმა, ვისთან ჰქონდა საქმე. მაქტავიშმა ხომ ნჰლ-ში მოთამაშის ხანგრძლივი კარიერა განვლო და მას საკმაოდ ფიცხელ, შეუპოვარ მებრძოლად იცნობდნენ. განა მრავლისმეტყველი ფაქტი არ არის, რომ იგი უკანასკნელი ჰოკეისტია მათ შორის, ვინც უჩაფხუტოდ თამაშობდა.

...ამ ამბავმა ედმონტონელები ისე გააბრაზა, ლამის გადაარჩინეს მატჩი.

**ბოსტონი 3:3 ვაშინგტონი *0:2 1:1 2:0 0:0***
**0:1 ლანგი (5), 0:2 ბონდრა (11), 1:2 ტორნტონი (35), 1:3 ჰელპერნი (40), 2:3 როლსტონი (44), 3:3 გ. მიურეი (56)**

ერთხანს ჩემპიონატის ლიდერი „ბოსტონი“ რომ ქვემოთ და ქვემოთ დაეშვა და მისი პლეი ოფში გასვლაც საეჭვო გახდა, მიზეზი ჯო ტორნტონის არყოფნა ყოფილა. მესამე თამაშია, იგი დაბრუნდა და გუნდს უკვე დაეტყო. მართალია, ჯომ პირველივე მატჩში იჩხუბა და თამაშის ბოლომდე გააძევეს, მაგრამ მომდევნო ორში 2 გოლი და 4 პასი მიითვალა. ამჯერად მან სამივე გოლში დაიდო.

**ანაჰაიმი 1:2 მინესოტა *1:0 0:0 0:1 0:1***
**1:0 სიკორა (3), 1:1 შულცი (50), 1:2 ლაატსონენი (63)**

**ფლორიდა 2:3 მონრეალი *0:0 1:1 1:2***
**0:1 პეტროვი (22), 1:1 იოკინენი (27), 2:1 ნოვოსელცევი (46), 2:2 გილმორი (55), 2:3 ბულისი (56)**

წინა კვირის ბოლოს კიდევ ერთმა გუნდმა გამოიცვალა თავკაცი, რაც ბოლო თვენახევრის განმავლობაში მეექვსედ (!) მოხდა. ლიგის ყველაზე სახელოვანი გუნდის, მონრეალის ჯერმაც მოაწია.

მიშელ ტერიენის ნაცვლად გუნდს კლოდ ჟულიენი გაუძღვა. მას ზურგს ნჰლ-ში მუშაობის გამოცდილება არ უმაგრებს, მაგრამ „კანადიენსის“ ფარმკლუბში მუშაობისას ძალიან გამოიჩინა თავი და ეგებ მონრეალსაც უშველოს. სადებიუტო მატჩში ტორონტოსთან მარცხის (2:3) შემდეგ ჟულიენმა ამჯერად გიხარა.

**კოლუმბუსი 5:1 ჩიკაგო *3:0 0:0 2:1***
**1:0 პრონგერი (8), 2:0 ვიბორნი (11), 3:0 ნეში (19), 4:0 უიტნი (41), 4:1 არნასონი (53), 5:1 მარშალი (57)**

**ტამპა 6:2 ოტავა *2:1 2:0 2:1***
**1:0 პრონპალი (11), 1:1 ჰოსა (12), 2:1 მოდინი (14), 3:1 ალექსეევი (25), 4:1 სან ლუი (33), 5:1 რიჩარდსი (42), 6:1 ლეკავალიე (45), 6:2 არვედსონი (59)**

„დიდებულია! ასეთმა თამაშმა ჩემპიონატის ლიდერისა და თან ჩემი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ, განსაკუთრებით გამახარა“ — თქვა მატჩის შემდეგ ტამპელმა ვაცლავ პროსპალმა. სწორედ მისმა გოლმა და სამმა პასმა განაპირობა სენსაცია.

**კაროლინა 3:5 სენტ ლუისი *0:2 0:1 3:2***
**0:1 მელანბი (6), 0:2 მაკინისი (10), 0:3 ტკაჩუკი (27), 0:4 ბოგუნეცკი (43), 1:4 ფრენსისი (48), 2:4 ბრინდამორი (52), 3:4 ონილი (56), 3:5 მელანბი (60)**

თუ ასე გაგრძელდა, კიდევ ერთი ცვლილების მოწმენი გავხდებით. ზედიზედ შვიდი მარცხის შემდეგ კაროლინა სავალალო დღეში ჩავარდა. შარშან კაროლინას ფინალში გამყვან პოლ მორისს გათავისუფლება ემუქრება. სხვათა შორის, ლიგის ერთ-ერთი ახალგაზრდა მწვრთნელი, 36 წლის მორისი 8 წელია (ყველაზე დიდხანს), ამ პოსტზე მუშაობს.

**კოლორადო 1:1 დალასი *1:0 0:1 0:0 0:0***
**1:0 რაინპრეხტი (10), 1:1 ლეპტინენი (25)**

დასავლეთის ლიდერთან შეხვედრა კოლორადოს მეკარე პატრიკ რუასთვის მე-1000 იყო. იგი პირველი გოლკიპერია, ვინც ამ საოცნებო ზღვარს უწია. მატჩის წინ ვეტერანს ლიგის საგანგებო პრიზი გადასცეს, გუნდმა კი ვერცხლის ყანწით დააჯილდოვა. პატრიკ რუამ ამის შემდეგ ისეთი თამაში აჩვენა, ყველა დაარწმუნა, რომ მისი ჩამოწერა ჯერ ნაადრევია.

**სამველ ლარიბიანი**



REUTERS მაიამიდან

ფლორიდელმა პიტერ უორელმა მონრეალელი რენდი მაკეი ერთობ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იქ, სადაც თბილა

*მთელს ევროპაში თოვლი და ყინვაა, ხორვატიაში კი სითბო. ადრიატიკის ამ ნაპირებზე ბანაობაც კი შეიძლება. ქალაქ სპლიტის პლაჟზე ხორვატი ყმაწვილკაცობა იქ გავრცელებულ თამაშს პირიგინს მისდევს. თამაშის არსი ის არის, რომ პატარა ბურთი წყალში არ ჩავარდეს.*

REUTERS სპლიტიდან



# ვინი პოლიციის კარზე

*აი, რა დრო დადგა. ვინი ჯონსი, რომელიც ადრე ყველას შიშის ზარსა სცემდა საფეხბურთო მოედანზე, ახლა თავად ჩანს შეშცბარი და შეშინებული. ასეა, როცა მწვანე მინდვრიდან პოლივუდში გადაინაცვლებ. იქ სხვა წესებია. ჯონსი გადაღებებზე იმყოფება სამხრეთ აფრიკის ქალაქ კეიპტაუნში და იქ ვიღაც სამ ქალთან რაღაც თავგადასავალი გადახდენია, რის გამოც პოლიციაში ამოუყვია თავი. თავგადასავლის არსი არ ხმაურდება, სიტყვა „ძალადობა" კი აქა-იქ გაისმის. ჯონსს თავისი ადვოკატი ზეინაბ მაიეტი ახლავს და პრესასაც ის ელაპარაკება.*



REUTERS კეიპტაუნიდან

REUTERS ესენიდან



# ფრე

*ქალთა კრივი რა საცქერია და მით უმეტეს, ფრედ რომ დასრულდება. ასე დაემართათ გერმანელ სილკე ვაიკენმაიერსა (მარცხნივ) და ბრიტ დეიზი ლონგს გერმანიისავე ქალაქ ესენის რინგზე. საჩემპიონო ქამარი კი დაობლდა.*

REUTERS მურაუდან



# ტრიალი

*კაცის ჰაერში ტრიალი ზამთარშიც ისეთივე ძნელია, როგორც ზაფხულში. სლოვენიელი სუსა ჟივა თავისი სნოუბორდით კრეისბერგის მთაზე ვარჯიშობს და წამით მაინც მოჰკრავს თვალს მის ფერხთით გაშლილ ქალაქ მურაუს, 13 წლის ავსტრალიელი რაიან არნოლდი კი კუალა ლუმპურის პეტრონასის ტყუპ ცათამბჯენთა შორიახლო ფრენს თავისი გორგოლაჭებით. იქ აზიის ექსტრემალური თამაშები გახურებულა და 13 ქვეყნის 200 სპორტსმენს მოუყრია თავი.*



REUTERS კუალა ლუმპურიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო პოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge